სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 15 იანვარი 2005 №6 (2329) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრი კეთილაძის ფოტო

დეჟავიუ

კადრი მეორდება

ჟორდანია ჟირესს ახალ კონტრაქტს შესთავაზებს

ალენ ჟირესი ახლა საფრანგეთშია, მისი თანაშემწე გია გურულის, ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელების გოჩა ტყებუჩავასა და ნიკა ჩხეიძის „ტულუზში" სტაჟირებას კურირებს, თვის ბოლოს კი თბილისში ჩამოვა და ახალ შეთავაზებას მიიღებს — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას სურს, რომ ეროვნული ნაკრების ფრანგ დამრიგებელთან კონტრაქტი გააგრძელოს.

მიმდინარე შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრებმა ჟირესის ხელმძღვანელობით ოთხი მატჩი ჩაატარა, ერთი მოიგო, ორი ფრედ დაასრულა და ერთიც წააგო — წინ კიდევ რვა მატჩია, მაგრამ ფედერაცია ჟირესს ხელშეკრულების გახანგრძლივებას სთავაზობს.

უმწვრთნელოებოდ არიან ჩვენი 17 და 19- წლამდელთა ნაკრებები და ფედერაციამ მათ ახალ დამრიგებლებზეც იზრუნა — კობა ჟორჟიკაშვილი და კახა ცხადაძე — ამ ასაკობრივ ნაკრებებს, თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ისინი უხელმძღვანელებენ.



ბადრი კეთილაძის ფოტო

კალაძეს თმები ყალყზე უდგება

რა ჩელსი, რის მანჩესტერი, მილანი კიდევ ხუთ წელს მთავაზობს

გრავესენის ქვეტექსტი: ბექემი

ამ კვირაში სულ მადრიდის „რეალის" გარშემო გვიხდებოდა ტრიალი. დღეს ინგლისში სრულიადევროპული გამორჩეული მატჩია, „ლივერპული" „მანჩესტერ იუნაიტედს" მასპინძლობს და ამ შეხვედრაშიც მთავარი კაცი მადრიდელი იქნება. უფრო ზუსტად, ყოფილი მადრიდელი ფერნანდო მორიენტესი, ვისი „რეალიდან" „ლივერპულში" გადასვლაც ამ კვირის მთავარი სატრანსფერო ამბავი იყო და უეჭველია, რომ დღეს „ენფილდ როუდზე" ოპერატორები ყველაზე მეტად მის მოხვედრას ეცდებიან კადრში.

გუშინ კი „რეალმა" კიდევ ერთი ტრანსფერი გაჩარხა, ოღონდ კი არ გაყიდა, აქეთ დაიმატა ფეხბურთელი — „ევერტონიდან" დანიელი თომას გრავესენი იყიდა. ამ, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ ტრანსფერში კი არის ისეთი რამ, რაც, ხვალ თუ არა ზეგ, შესაძლოა დიდი ხმაურის ასატეხად გამოდგეს. ფიქრობენ, რომ „რეალს" გრავესენი თვით დევიდ ბექემის შემცვლელად შეიძლება უნდოდეს, რაკი ინგლისის ნაკრების კაპიტანი „რეალის" ახალმა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუშემბურგომ მისვლისთანავე აითვალწუნა.

ამ ორი ტრანსფერის ფონზე კი მეტად მოკრძალებულად გამოიყურება „რეალში" ხავიერ პორტილიოს დაბრუნება, რომელიც ესპანელებს „ფიორენტინაში" ჰყავდათ განათხოვრებული.

მოკლედ, როცა სატრანსფერო ფანჯარა ღიაა, ყურადღება ტრადიციულად „რეალისკენ" არის მიპყრობილი.

გიორგი ცინცაძეს რუსეთი შემოატარეს

ახალი გაჩერება: ურალ გრეიტი



გიორგი ცინცაძე სეზონს პერმის „ურალ გრეიტში" ჩაამთავრებს. 18 წლის ამომავალმა ქართველმა ვარსკვლავმა შემოდგომის აქეთ რუსული სუპერლიგის გუნდების ლამის ნახევარი მოიარა — ცსკა-მ ის ჯერ სამარაში გაანათხოვრა, ამ რამდენიმე დღის წინ კი, იქ საქმეაწეწილი ქართველი პერმში გაუშვა გიორგის რუს თანატოლ ეგორ ვიალცევთან ერთად. ივარჯიშა, უფროსობას თავი მოაწონა და დაიტოვეს გუნდში.

„ეს ორი ბიჭი ძალიან ნიჭიერია და რაც მთავარია, მათ თამაში უნდათ. ვფიქრობ, ისინი გააძლიერებენ ჩვენს გუნდს და იმედი მაქვს, მათი დებიუტი უკვე ხვალ, პიტერის „სპარტაკთან" შეხვედრაში შედგება" — თქვა გუშინ „ურალ გრეიტის" თავკაცმა ვალდემარას ხომიჩუსმა.

!მეხუთე!

მოკალით მკვლელი რალი

რა ხდება? რა და, კარგი არაფერი, დაკარის რალის ყოველდღე მაქვს ადამიანების სიცოცხლე. ამ ერთ კვირაში უკვე მეხუთე კაცი იმსხვერპლა ამ წყეულმა და ლამის უაზრობად ქცეულმა ავტოჭარავანმა, თუმც კაცი კი არა, ბავშვი — გუშინ რბოლამიტოვებულმა სატვირთომ ხუთი წლის სენეგალელი გაიტანა. აფრიკაში ყოველთვის იხოკებოდნენ სპორტსმენებიც და მაყურებლებიც. 27 წელიწადში დაკარი-რალიში 48 ადამიანი დაიღუპა, მაგრამ ხუთ დღეში ხუთი სიკვდილი მართლაც საშინელებაა. ვის რად უნდა ასეთი ტურნირი, როცა არ იცი, როდის გათენდება უსიკვდილო დღე!



სადაცაა საფეხბურთო სეზონი საქართველოშიც განახლდება და გარდა იმისა, რომ მწვრთნელ-ფეხბურთელებს მონაგარს დავუთვლით, არც საფეხბურთო მოხელეთა გარჯაა უმნიშვნელო.

გუშინ ოფისში ვესტუმრეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ რევაზ არველაძეს და ერთობ საყურადღებო ამბებიც შევიტყვეთ.

მაშ ასე, „სარბიელის" კითხვებს ძმათაგან უფროსი არველაძე პასუხობს

სკოლა გახანგრძლივებული
ჟირესი და კიდევ ჟირესი

— 2005 წლის დამდეგს რა იქნება მთავარი საკითხი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის?

— ამ ეტაპზე ჩვენთვის ყველაზე აქტუალურია 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებში მწვრთნელთა შეცვლა. ალბათ თვის ბოლომდე ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდება.

— ვინ არიან 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებში მწვრთნელობის კანდიდატები?

— 17-წლამდელებში კობა ჟორჟიკაშვილი, ხოლო 19-წლამდელებში კახა ცხადაძე — ჯერჯერობით ასეთი სიტუაციაა.

— ეროვნული ნაკრების თავკაცი ალენ ჟირესი საქმის კურსშია?

— ჟირესი საქართველოში თვის ბოლოსთვის ჩამოვა და ვფიქრობ, რომ ჟორჟიკაშვილისა და ცხადაძის საწინააღმდეგო არაფერი ექნება. ჟორჟიკაშვილი წინა შესარჩევ ეტაპზეც იყო დაკავშირებული 17-წლამდელთა ნაკრებთან — ის გუნდის სელექციონერი გახლდათ. რაც შეეხება ცხადაძეს, ჩვენ მას უკვე შევთავაზეთ 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელობა და, ფაქტობრივად, დაგვთანხმდა — საბოლოო გადაწყვეტილება ფეხბურთელის კარიერის დასრულებასთანაა დაკავშირებული, როგორც იცით, ცხადაძე ჯერაც თამაშობს.

— რატომ შეაჩერეთ არჩევანი მაინცდამაინც ჟორჟიკაშვილზე და ცხადაძეზე?

— ჟორჟიკაშვილს უკვე აქვს ახალგაზრდებთან მუშაობის გამოცდილება და ახლაც, ფაქტობრივად, ამ ასაკის ფეხბურთელებთან მუშაობს „თბილისში", ცხადაძე კი, ჩემი აზრით, არის 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელობის ის კანდიდატი, ვისაც შეუძლია, ქართულ ფეხბურთში ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული მწვრთნელი გახდეს. კარგი იქნება, თუ ცხადაძე ნაკრების პარალელურად რომელიმე კლუბშიც იმუშავებს მწვრთნელად.

— მაინც რით მოგაწონათ თავი ცხადაძემ? ვთქვათ, იმით, რომ, როცა ის თბილისის „ლოკომოტივს" წვრთნიდა, მის ხელში დაწინაურდა დავით სირაძე?

— მთავარი ისაა, რომ ცხადაძე მოწოდებითაა მწვრთნელი, ვისაც საკმაოდ სერიოზული ამბიციები აქვს. გარდა ამისა, ყველასთვის ცნობილია, თუ რამხელა გამოცდილება დაუგროვდა მას ფეხბურთელობისას — როცა მოთამაშეს ხანგრძლივი კარიერა აქვს, არ არსებობს, რომ ის მწვრთნელობაზე სერიოზულად არ ფიქრობდეს, თანაც ცხადაძემ უკვე აიღო სამწვრთნელო B ლიცენზია.

— ჩვენი 17 და 19-წლამდელთა ნაკრებების მეტოქეები დამდეგ შესარჩევ ეტაპზე რომელი გუნდები არიან?

— 17-წლამდელებს მეტოქეებად ბელგია, ავსტრია და ბულგარეთი ჰყავთ, ხოლო 19-წლამდელებს ესტონეთი, ლიტვა და სლოვენია. მატჩების განრიგი კი ჯერ დადგენილი არ არის.

— კიდევ რა სიახლეებია მოსალოდნელი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან?

— მსურს გავახმოვანო ჩვენი ინიციატივა — ალენ ჟირესს კონტრაქტის გაგრძელებას შევთავაზებთ.

— მოქმედი კონტრაქტით ჟირესი მიმდინარე შესარჩევი ციკლის ბოლომდეა ერთვნული ნაკრების მწვრთნელი, ციკლის დამთავრებამდე კი კიდევ ბევრი დარჩა — რის საფუძველზე აპირებთ ჟირესთან ხელშეკრულების გახანგრძლივებას?

— პირადად მე ადრეც მითქვამს, რომ ჟირესს კონტრაქტი უნდა გავუგრძელოთ. ახლახან კი ამის შესახებ ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას ვესაუბრე და მისგან თანხმობა მივიღე. დავიწყოთ იმით, რომ ჟირესს გუნდთან და აქაურობასთან ადაპტაცია არ გაუჭირდა, ის სწორი მიმართულებით მუშაობს და პრინციპულია, ჟირესი გუნდის შორეულ პერსპექტივაზეც ფიქრობს და ახლა ერთობ მნიშვნელოვანია, რომ რაც შეიძლება მალე გავახანგრძლივოთ მასთან კონტრაქტი.

— ჟირესისთვის კონტრაქტის გაგრძელების შეთავაზება ნაჩქარევი ნაბიჯი ხომ არ იქნება?

— ამის დაჩქარება იმიტომ გვსურს, რომ ჟირესმა რაც შეიძლება მალე იგრძნოს თავი უფრო თავისუფლად და მყუდროდ, მას დროის კრედიტი უნდა მივცეთ — თუ ჟირესს ახლა კონტრაქტს არ გავუგრძელებთ, ამით ჩვენ მხოლოდ დროს დავკარგავთ.

დავით თავართქილაძე

თბილისმა დინამო უკვე მოსინჯა
ფახთაქორს დღეს გასინჯავს

დღეს თანამეგობრობის თასის მორიგი გათამაშება იწყება და საქართველოს ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას" ნაცვლად ჩვენგან იქ „თბილისი" რომ ითამაშებს, გადაღძუებული ამბავია, ახალი კი დღეს იქნება — „თბილისი" ტაშკენტის „ფახთაქორით" შეუდგება ესენგეს თასისთვის ბრძოლას.

რუსეთის დედაქალაქში „თბილისი" გუშინ ჩაფრინდა და სასტუმრო „კოსმოსში" დაბინავდა. სწორედ იქ დავუკავშირდით „თბილისის" ერთ-ერთ საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელს, 21 წლის მეკარე *ბექა შეყრილაძეს...*

— ტურნირის მონაწილე თითქმის ყველა გუნდი სასტუმრო „კოსმოსშია", ნორმალური სიტუაციაა, სასიამოვნო აჟიოტაჟია და ყურადღება აქაური ჟურნალისტებისგანაც იგრძნობა...

— ვივარჯიშეთ „დინამოს" მანეჟში, სადაც „ფახთაქორს" უნდა ვეთამაშოთ კიდეც. ვარჯიში ხანგრძლივი არ ყოფილა, დაახლოებით 40 წუთს გაგრძელდა. ყველანი ჯანზე ვართ და განწყობაც საბრძოლოა. ჩვენს მწვრთნელ ლუის ცაკარიასს მეტოქეზე ჯერ არაფერი უთქვამს, თეორიულ მეცადინეობას თამაშის დღეს ჩაგვიტარებს.

დავით თავართქილაძე

15 იანვარი	16 იანვარი	18 იანვარი
შერიფი — ნეფთჩი	ნეფთჩი — ნებიტჩი	სკონტო — პიუნიკი
თბილისი — ფახთაქორი (17 სთ)	დინამო (მინსკი) — ლევადია	ლევადია — ყაირათი
დინამო (მინსკი) — ყაირათი	კაუნასი — თბილისი (19 სთ)	კაუნასი — ფახთაქორი
ლევადია — რუსეთის ახ. ნაკრები	რუსეთის ახ. ნაკრები — ყაირათი	დინამო (მინსკი) — რუსეთის ახ. ნაკრები
სკონტო — რეგარ-თადაზი	პიუნიკი — რეგარ-თადაზი	ნებიტჩი — შერიფი
დორდოი — კაუნასი	ფახთაქორი — დორდოი	დორდოი — თბილისი (19 სთ)

მეოთხედფინალი. 19 იანვარი

A1 - B1 | **C1 - D1**

ნახევარფინალი. 21 იანვარი

I წყვილის გამარჯვებული — დინამო (უკრაინა)

I წყვილის გამარჯვებული — ლოკომოტივი (რუსეთი)

ფინალი

23 იანვარი

საქართველოს ბუქმეიკერთა და ტოტალიზატორთა ასოციაცია

ახალი საგადასახადო კოდექსიდან გამომდინარე საკითხების განსახილველად, რეკომენდაციების შესამუშავებლად და ერთობლივი ღონისძიებების დასაგეგმად ასოციაციის წევრებსა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლებს იწვევს შეკრებაზე კინოთეატრ „რუსთაველის" მეორე დარბაზში შაბათს, 15 იანვარს, 13.00 საათზე.

საქართველოს ბუქმეიკერთა და ტოტალიზატორთა ასოციაციის პრეზიდიუმი

ინგლისი

ჩემპიონატი XXIX ტური

ძუინზ პარკი 1:0 სტოკი

იტალია

სერია B. XXI ტური

პესკარა 2:1 ტრიესტინა

სერია C1/A. XIX ტური

ფროზინონე 1:0 პიზა

ამხანაგური მატჩი

ვერდერი 6:5 ტრაბზონსფორი

საფრანგეთი

II დივიზიონი XXI ტური

ანჟე 2:2 დიჟონი

კლერმონი 0:1 ლე ავრი

კრეტეი 3:0 გენიონი

გენგამი 4:0 სედანი

ლორიანი 1:2 მონპელიე

ნიორი 1:1 ბრესტი

რეიმსი 0:1 ლე მანი

ტრუა 0:2 ლავალი

კახა კალაძე კარიერას მილანში დაამთავრებს

რა ჩელსი, რის მანჩესტერი?

ქართველი იტალიამ გააკვირვა

იტალიური „მილანის“ ქართველი კახა კალაძე დეკემბერში „იუვენტუსთან“ მატჩისას რომ დაშავდა, ინდივიდუალურად ვარჯიში ახლახანღა განაახლა. თუმც ჩვენიანი მცველი გუნდთან ერთად მთელი დატვირთვით მზადებას მომავალი კვირიდან განაახლებს და შესაძლოა, შემდეგ უქმეებზე ითამაშოს კიდეც. იქამდე კი, ვიდრე კახა მუხლის ტრავმას მკურნალობდა, ხოლო „მილანი“ უმისოდ ვარჯიშობდა, ჩვენმა იტალიელმა კოლეგებმა კალაძე ჯერ ინგლისურ „ჩელსიში“ გადაიყვანეს, მერე „ლივერპულში“ და არც „მანჩესტერში“ მისი ტრანსფერი დავიწყებიათ

— ყველაფერი სისულელეა, არ დაიჯეროთ, „მილანიდან“ წასვლას არ ვაპირებ და ეს არც კლუბს სურს — კახა კალაძემ, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით, კითხვა არ გვაცალა და მის შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებული ყველა ცნობა უარყო.

— ყვითელი პრესა იტალიელების მოგონილია. ხანდახან ჟურნალ-გაზეთებში ჩემ შესახებ ისეთ ამბებს ვკითხულობ, თმები ყალყზე მიდგება. არ ვიცი, ვერ გავიგე, კალაძეს „ჩელსისთან“ თუ „მანჩესტერთან“ რა კავშირი აქვს.

— არც კლუბში უთქვამთ შენს შესაძლო ტრანსფერზე არაფერი?

— „მილანთან“ უკვე ერთი თვეა, კონტრაქტის გაგრძელებაზე მაქვს ლაპარაკი. კიდევ ხუთი წლით გუნდში დარჩენას მთავაზობენ.

— მერე?

— ჯერ ვფიქრობ, ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ვჩქარობ. „მილანს“ ალბათ სეზონის ბოლოს ვეტყვი პასუხს.

— „მილანთან“ ახალი კონტრაქტის გაფორმებას რომ არ ჩქარობ, ეგებ სატრანსფერო ჭორებიც აქედან მოდის...

— ვერ გეტყვით, ჭორის საფუძველი რა არის, თუმც ის კი, მგონი, ყველამ უნდა იცოდეს, რომ „მილანი“ ჩემ დათმობას არ აპირებს.

— თავად რას ფიქრობ?

— იმას, რომ კონტრაქტს გავაგრძელებ.

— ესე იგი, „მილანში“ 2010 წლამდე დარჩები.

— ასე გამოდის.

— და კარიერასაც „მილანში“ დაამთავრებ?

— ალბათ.

— ჯანმრთელობის საქმე როგორ გაქვს?

— ყველაფერი კარგად მიდის, ტკივილები აღარ მაწუხებს და უკვე ერთი კვირაა, მთელი დატვირთვით ვვარჯიშობ. თუმც ტრავმის გამიზეზებას მაინც ვერიდები და ცალკე დავრბივარ.

— გუნდს როდის შეუერთდები?

— ორშაბათს ან სამშაბათს უკვე გუნდთან ერთად ვიქნები.

— შესაძლოა, რომ მომდევნო კვირას ითამაშო?

— ვნახოთ. ბურთს ერთი თვეა, არ გავკარებივარ და ფორმის აღდგენა თუ მოვახერხე, ალბათ, ვითამაშებ. ყოველ შემთხვევაში, ფიზიკურად უკვე მზად ვარ.

— „მილანის“ საჩემპიონო შანსებზე რას იტყვი?

— ნახევარი სეზონი წინაა. დარწმუნებული ვარ, „იუვენტუსი“ კიდევ ბევრ ქულას დაკარგავს და მისი გადასწრების შანსები გვექნება. მთავარია, ჩვენ არ მოვდუნდეთ და როგორც ახალ წლამდე ვთამაშობდით, ისევე გაგავაგრძელოთ.

— წინა კვირას პალერმოში კი დაკარგეთ ორი ქულა...

— ეგეთ ქულებს „იუვენტუსიც“ დაკარგავს. ვფიქრობ, რომ ჩემპიონატის მეორე წრეში „მილანს“ უკეთესი კალენდარი აქვს და ეს უნდა გამოვიყენოთ.

ძოგა ინასარიძე

ამისულაშვილის წადი-მოდი

ალეკოს ბოლო სურკისია



ისევ გაურკვეველია კიევის „დინამოს“ მცველის ალეკო ამისულაშვილის გუნდში დარჩენა-წასვლის საკითხი. თუმც, ერთი შეხედვით ისე ჩანს, ჩვენიანი კიევში დიდ ხანსაც არ უნდა შეყოვნდეს.

ამის წინაპირობა ისაა, რომ „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობა უკვე რამდენიმე დღეა, საუდის არაბეთშია, ამისულაშვილი კი კიევში. ჩვენიანი მეორე გუნდთან ერთად ვარჯიშობს და 20 იანვარს მოსკოვში, ტრადიციულ ესენგეს ჩემპიონთა ტურნირზე მიემგზავრება

— კიევის „დინამოს“ პრეზიდენტ იგორ სურკისს ველი და ჩემი ამბავიც მასთან შეხვედრის შემდეგ გაირკვევა. სურკისი ახლა მონტეკარლოში ისვენებს, კიევში ამ თვის ბოლოს აპირებს ჩამოსვლას და ვნახოთ... ჯერ მას ვესაუბრები, დანარჩენს მერე გეტყვით.

— კი მაგრამ, კიევის „დინამოს“ ძირითადი უკვე საუდის არაბეთშია. არ ფიქრობ, რომ გუნდს აღარ სჭირდები?

— „დინამო“, მართალია, უკვე შეკრებაზეა, მაგრამ პრეზიდენტთან და მწვრთნელთან შეუთანხმებლად მაინც ვერ გეტყვით, დავრჩები თუ არა გუნდში.

— ესენგეს ტურნირზე შენთან ერთად „დინამოს“ ძირითადი გუნდის ფეხბურთელებიც მოდიან...

— სწორედ ეგ მაფიქრებინებს, რომ „დინამოს“ ჩემი გასხვისება არ სურს. მოსკოვში ჩემთან ერთად ხაცკევიჩი, გუსინი, დმიტრულინი, გოლოვკოც იქნებიან და ტურნირში ნახევარფინალიდან ჩავერთვებით.

— მოკლედ, სურკისთან შეხვედრის მერე გაირკვევა შენი ამბავი?

— თუ ძირითადში კიდევ არ მათამაშებენ, კარიერისთვის მიჯობს, სხვაგან წავიდე. სურკისთან და საბოსთან შეხვედრას ამიტომაც ველი. კონკრეტული პასუხი მსურს.

— რომელი გუნდებიდან გაქვს წინადადება?

— ამას პრეზიდენტთან და მწვრთნელთან საუბრის შემდეგ გეტყვით.

ძოგა ინასარიძე

გიგიაძის საქორესო შანსი

ახალი პატრონის მოლოდინში მყოფი სიმფეროპოლის „ტავრია“ ყირიმში ემზადება საახალსეზონოდ და გუშინ ამხანაგური მატჩიც გამართა ლუცკის „ვოლინთან“. სიმფეროპოლელებმა 4:0 მოიგეს და ერთი ბურთი ვასილ გიგიაძემ გაიტანა.

უკრაინის პირველ ჩემპიონს კიდევ რამდენიმე მატჩი აქვს დაგეგმილი, ძირითადად დაბალლიგელებთან. მერე კი, როცა კლუბის ახალი მეპატრონე ოფიციალურად გაცხადდება, ეგებ, უცხოური შეკრებაც გაიჩარხოს. შეგახსენებთ, რომ „ტავრიას“ შეძენას სოლიდური უკრაინული ბიზნეს-ჯგუფი აპირებს, თუმც უფრო კონკრეტული დეტალები ჯერჯერობით არ ხმაურდება.

სიმფეროპოლელთა საუკეთესო ბომბარდირ გიგიაძეზე იმასაც გეტყვით, რომ დიდი შანსია, ვასომ 9 თებერვალს საქართველოს ნაკრებში ითამაშოს ლიტვის წინააღმდეგ. საამმატჩოდ ალენ ჟირესს რამდენიმე ახალწვეულთან ერთად ისიც შეუგულებია.

ძახა შალამბერიძე

მუჯირი გერმანული სურათით გადარჩა

გრაცის „შტურმის“ ქართველი ნახევარმცველი ***დავით მუჯირი*** *საზარდულის ოპერაციას გადაურჩა. „მუმუ“ ახლა ინდივიდუალურად ვარჯიშობს და პარალელურად ექიმებიც აკვირდებიან.*

— სურათი გადამიღეს და გერმანიაში გააგზავნეს, საიდანაც პასუხი მივიღეთ და გადაწყდა, რომ ოპერაცია არ მჭირდება. ცოტა ტკივილები კი მაწუხებს, მაგრამ თანდათან უკეთესობა მაინც იგრძნობა — გვითხრა მუჯირმა, როცა ავსტრიაში შევეხმიანეთ.

ხვალ „შტურმი“ ირანულ კუნძულზე მიემგზავრება. გრაცელები სწორედ იქ მოემზადებიან, თუმც გაჰყვება თუ არა ჩვენებური გუნდს, ძნელი სათქმელია. დათოს აზრით, ეს ამბავი დღეს გაირკვევა: „სრული დატვირთვით ვარჯიშის უფლებას ალბათ არ მომცემენ, ასე რომ, შეკრებაზე წასვლა არაფრად წამადგება და გრაცში დავრჩები. ვნახოთ, რას მეტყვიან ექიმები“.

ძახა შალამბერიძე

ცხინვალი გორში ჩავიდა

გორის „დილას“ მწვრთნელი ეღირსა — რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ მერაბ ხუციშვილი ისევ ამ ქართლურ კლუბს ჩაუდგა სათავეში. ეს ამბავი ორი დღის წინ გადაწყდა და ხუციშვილმა უკვე შეკრიბა ფეხბურთელები, თუმც არასრული შემადგენლობით.

მწვრთნელის გარდა, „დილაში“ ახალი ფეხბურთელებიც მივიდნენ, ოღონდ ლევან გოჩაშვილზე, დავით მაისურაძესა და ძმებ ბექა და გაგა ჩიტაიებზე რამდენად შეიძლება ითქვას, ახლები არიანო, ძნელი სათქმელია — ისინი ხომ წლების განმავლობაში თამაშობდნენ „დილაში“, ბოლოს კი „ცხინვალში“ ირიცხებოდნენ.

მოკლედ, ეროვნული ჩემპიონატის აუტსაიდერს საშველი დაადგა და ვარჯიში დაიწყო. ოღონდ საკითხავია, რა შემადგენლობით ითამაშებენ გორელები ჩემპიონატში.

ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ აზერბაიჯანში წასული ქრისტეფორე შატაკიშვილი და გიორგი ლომიძე უკანვე დაბრუნდნენ და მათი საკითხიც დღე-დღეზე გადაწყდება. თუ გახსოვთ, „დილას“ პატრონობის სურვილი მხარის გუბერნატორმა მიხეილ ქარელმა გადაწყვიტა და ახლა კლუბის ბიუჯეტში ჩასასმელად იურიდიული დოკუმენტების მოწესრიგებაღაა დარჩენილი. შატაკიშვილ-ლომიძის ბედიც მერე გაირკვევა — ახალ ხელმძღვანელობას სამდღიანი ვადა უთხოვია ამ დეტალების დასაზუსტებლად და ვნახოთ, ეს სამი დღეც მალე გავა.

ძახა შალამბერიძე

ზამთრის წიღი: თითო ტაიმი თითო კაცზე

თურქულ ბელეკში შეკრებაზე მყოფმა „ალანიამ“ მეორე ტესტ-მატჩი გამართა. ბახვა თედეევის გუნდმა ოსმალოთა მეორელიგელ „ერზურუმსპორს“ 3:1 მოუგო და ქართველებმა კვლავ რიგიანად იბურთავეს. თედეევმა თითო ფეხბურთელი თითო ტაიმი ათამაშა, ვიტალი დარასელია და ლევან გვაზავა შესვენების შემდეგ გამოჩნდნენ მინდორზე. ამ დროს ანგარიში უკვე 2:1 იყო, მესამე გოლი კი დარასელიას „გაუკეთებია“ — ვიტალიმ საჯარიმოს მისადგომებთან ორი თურქი მიაფინტავა და, როგორც „ალანიას“ ვებ-გვერდი იუწყება, უზუსტესი პასი მიურთმევია ზლატინოვისთვის.

შეგახსენებთ, რომ სამი დღის წინ ვლადიკავკაზელებმა ჰოლანდიური მესამელიგელი „ალმელო“ 9:0 გააბითურეს, სადაც გვაზავამ ორი გოლი მიითვალა, ხოლო დარასელიამ ორჯერ გაატანინა თანაგუნდელებს. მომდევნო ტესტ-მატჩს „ალანია“ 17 იანვარს გამართავს რუსულ პრემიერლიგაში წლეულს გადასულ „ტომთან“ და დიდი შანსია, აქ ლადო ბურდულმაც ითამაშოს.

ვლადიკავკაზელთა თავკაცმა „ერზურუმსპორთან“ ნამატჩევს თქვა, დღევანდელი კონტინგენტი არ მაკმაყოფილებს და გაძლიერება ყველა რგოლს სჭირდებაო. ახლა „ალანიაში“ რამდენიმე ახალწვეული ვარჯიშობს, თუმც თედეევმა 4 ფეხბურთელი უკვე დაიწუნა და შეკრებიდან გაუშვა.

ილია ნანოგაფვილი

ქართველები უცხოეთში მრავლდებიან

აქეთ აფციაური, იქით ადამია...

„თბილისიდან“ ტრაბზონის „შერიფში“ გადასული თორნიკე აფციაური „თანამეგობრობის თასზე“ ითამაშებს. მოლდოველთა თავკაცმა ლეონიდ კუჩუკმა მოსკოვში სხვა ქართველ შერიფელებთან, ვაჟა თარხნიშვილთან, მურთაზ ბურნაძესთან და რომან გოგინაშვილთან ერთად აფციაურის წაყვანაც გადაწყვიტა.

შეგახსენებთ, რომ თორნიკე ორიოდ კვირის წინ დინამოელ ბორის გონჩაროვთან ერთად გაემგზავრა ტრაბზონში და მას შემდეგ „შერიფში“ ვარჯიშობს. გონჩაროვს კი ტრავმის გამო ნაადრევად მოუხდა იქაურობის დატოვება.

„თანამეგობრობის თასის“ პირველ ტურში „შერიფი“ აწ უკვე გიორგი ადამიას „ნეფთჩის“ შეხვდება.

ვ. ზარაბ დოლიძეანშვილის ფოტო

თორნიკე აფციაური

ლევსკიმ დინამო შეიგულა

20 იანვარს თბილისის „დინამო“ კიპროსულ შეკრებაზე რომ მიდის, გეცოდინებათ.

კვიპროსი ის კუნძულია, ზამთარ-ზაფხულ სეზონისწინა შეკრებას უამრავი ევროპული კლუბი რომ გადის. ჰოდა, რა გასაკვირია, იქ სოფიის „ლევსკიმაც“ თუ მიაშურა.

ჩვენ კი ამ ამბავმა იმიტომ დაგვაინტერესა, რომ ბულგარელებმა „დინამოსთან“ ამხანაგურად გაჯიბრების სურვილი გამოთქვეს. მატჩი, სავარაუდოდ, 24 იანვარს ქალაქ აიანაპაში ჩატარდება და ამის გამო სოფიელებმა რუსულ „ლუჩ-ენერგიას“ ბოლო მომენტში უთხრეს უარი, „დინამო“ გვირჩევნიაო.

ლუკა თალაძვაძე

კონფლიქტოლოგების ერსასურვალ სკანდინავიური ფან-ფუტბოლი ფერიგების ფანია

ბადრი ჯიმლიხიძის ფოტო

გინდა, არგინდა, საქართველოში სპორტის განვითარებას საზოგადო, საქვეყნო პრობლემებიც აფერხებს — თუნდაც ამიერკავკასიაში არსებული დაულაგებელი სიტუაცია და გაუთავებელი ეთნოკონფლიქტები. სწორედ ამ კონფლიქტების შესარბილებლად და დაპირისპირებულ მხარეთა შესარიგებლად სკანდინავიურმა ქვეყნებმა რამდენიმე წლის წინ აამუშავეს პროექტი „ფან ფუტბოლი“, რომლის ოფისი დანიის მთავარქალაქ კოპენჰაგენშია. „ფან ფუტბოლის“ ასოციაციის პრეზიდენტი ანდრეს ლევინსონია, ხოლო მისი ასისტენტია დანიელი ქალბატონი ანეტა ქოლდინგი, რომელიც ამჟამად თბილისში, სასტუმრო „ბატესტაში“ ატარებს სემინარებს „ფან ფუტბოლის“ ამიერკავკასიული ზონის ასოციაციის ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ კოორდინატორებთან.

უფრო კონკრეტულად: საქართველოში უკვე ორი წელია, ტარდება „ფან ფუტბოლის“ ბავშვთა ფეხბურთის სახალისო ღია სკოლების თამაშები, სადაც სხვადასხვა ეროვნების მინიმუმ 200 ბავშვი (რვიდან თორმეტ წლამდე) ერთმანეთში თამაშობს და ერთობა. კერძოდ, ასეთი სახალისო თამაშები უკვე გაიმართა თბილისში, ერედვში, ბათუმში, ხაშურში, გორში...

ამიერკავკასიის ზონაში „ფან ფუტბოლის“ ოფისი თბილისშია, მისი ხელმძღვანელი კი ვალერი ჩოლარიაა. საქართველოში პროექტის კოორდინატორი ბადრი ქარქაშაძეა, რომელსაც ავთანდილ შალამბერიძე ასისტენტობს.

ბავშვების გარდა, „ფან ფუტბოლის“ თამაშები სხვადასხვა ეროვნების მწვრთნელთა დაახლოებისკენაა მიმართული და ანეტა ქოლდინგიც ამ მისიითა თბილისში ჩამოსული.

— „ფან ფუტბოლის“ პროექტი მხოლოდ ეთნოკონფლიქტების ზონებში ვრცელდება, იმ რეგიონებშიც, სადაც ლტოლვილები ცხოვრობენ. ამიერკავკასიაში, მათ შორის საქართველოშიც, ასეთი ადგილები ბევრგანაა. სახალისო თამაშებში მონაწილე ბავშვებს ჩვენი ასოციაცია მაისურებით, ტრუსებით, ბურთებით და სხვადასხვა საჩუქრებით ამარაგებს. ეს თამაშები გასართობია, მასში, ჩვეულებრივ, ეზოებიდან იკრიბებიან ბავშვები და პროფესიულ დატვირთვებს არ იღებენ. ყველა ხალისობს, მხიარულობს... და არა მარტო ფეხბურთი, ბავშვებს შეუძლიათ კალათბურთის, ხელბურთის ან ნებისმიერი სახეობის თამაში. წარმოიდგინეთ, ამას რა სჯობია, როცა დაპირისპირებული მხარეების შვილები ერთმანეთის სიყვარულს ბავშვობიდანვე ინერგავენ — გვითხრა ანეტა ქოლდინგმა.

„ფან ფუტბოლის“ სახალისო თამაშები წლეულს ზაფხულშიც გაიმართება საქართველოს ქალაქებში. მეტიც, შესაძლოა, ქართულმა მხარემ სოჭშიც ჩაატაროს ეს ღონისძიება. ისე კი, თბილისურ სემინარებზე აფხაზი მწვრთნელები უკვე იყვნენ ჩამოსულნი...

ილია ნანოგაფვილი

ნანინანატრი შეკრება

ტორპედო ანთალიაში ახლებსაც იახლებს

ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი, ქუთაისის „ტორპედო“ 20 იანვარს ანთალიაში მიდის. რიონისპირელები შეკრებაზე რამდენიმე ახალწვეულსაც იახლებენ, თუმც მათ შორის არ არიან უცხოელები — უკრაინელი და რუსი ფეხბურთელები ქუთაისში ჯერ არ ჩასულან და, როგორც ამბობენ, ეგებ, სულაც პირდაპირ ანთალიაში ჩააკითხონ გუნდს.

სიახლე კი ისაა, რომ მირზა მერლანის, თენგიზ ჩიკვილაძის, მიხეილ სოსელიას და რუსეთში დაბადებულ-გაზრდილ რევაზ ჯიქიას გარდა „ტორპედოს“ კახა წუწუნავაც დაემატა. ეს ფეხბურთელი ბოლოს გორის „დილაში“ თამაშობდა, თუმც იქიდან პირველი ეტაპის დასრულებისთანავე აიბარგა.

საბოლოოდ გამოირიცხა მერაბ ძოძუაშვილის ტრანსფერი. ფოთის „კოლხეთის“ აწ უკვე ყოფილი თავდამსხმელი აზერბაიჯანულ „ბაკში“ გადავიდა.

„ტორპედოდან“ კი ორი ფეხბურთელი წავიდა — არჩილ დათუნაშვილი და ლაშა ადუაშვილი, რომლებიც ძირითადი შემადგენლობის წევრებად ისედაც არ ითვლებოდნენ.

ძახა შალამბერიძე

ლევან სილაგაძე: ფეხბურთს დინამოში ვთამაშობ, რუსთავში მეგობრები მყავს

„სარბიელის“ გუშინდელმა ინფორმაციამ, თბილისის „დინამოს“ მცველი ლევან სილაგაძე მშობლიური „რუსთავის“ მეპატრონეობას უმიზნებსო, საფეხბურთო სამყაროში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ზოგი ერთს ამბობს, ზოგი მეორეს, თუმც ლევან სილაგაძის გარდა ვერავინ ამბობს — რა ხდება „რუსთავში“?

— არ ვიცი, ვის და რატომ დასჭირდა იმის თქმა, რომ ლევან სილაგაძე „რუსთავის“ პრეზიდენტობას ან კლუბში სხვა რაიმე სტატუსით მისვლას აპირებს. მსგავსი არაფერი მიფიქრია და მსგავსი არც არავის შემოუთავაზებია. რუსთაველი ვარ და, ვფიქრობ, არავის უნდა გაუკვირდეს, ჩემს მეგობრებს შეძლებისდაგვარად საფეხბურთო აღჭურვილობით თუ ვეხმარები ხოლმე — გვითხრა გუშინ თავად ლევან სილაგაძემ — მეგობრები კი რუსთავში ბავშვთა სკოლების მწვრთნელები არიან და რისი საშუალებაც მაქვს, მათ მაქსიმალურ ყურადღებას ვაქცევ.

— მაშ, როგორ ფიქრობ, მსგავსი ინფორმაციის საფუძველი რა უნდა იყოს?

— რა გითხრათ... ჩემი მეგობრებისთვის ნაჩუქარი კედი თუ მაისურა „რუსთავის“ პატრონობას თუ ნიშნავს, მაშინ რაღა ვთქვა.

— ქალაქის ხელმძღვანელობასთან ან „რუსთავის“ სხვა მესვეურებთან კლუბის პატრონობაზე საერთოდ არ გისაუბრია?

— არა, ეს არც კი მიფიქრია. დღესდღეობით ჩემი საქმე მაქვს. „დინამოში“ ვთამაშობ და ვცდილობ, ტრავმის შემდეგ ძველი ფორმა აღვიდგინო.

— სიტყვამ მოიტანა და, ფეხი აღარ გაწუხებს?

— უკვე ჯანზე ვარ და შარშანდელი უიღბლო სეზონის დავიწყება მსურს. „დინამოსთან“ კონტრაქტი მაისამდე მაქვს და ამ პერიოდში მაინც ვეცდები ჩემი მაქსიმალური შესაძლებლობების გამოვლენას.

კოგა ინასარიძე

იტალია

თასის 1/8 ფინალი
საპასუხო მატჩები

იუვენტუსი 3:3 ატალანტა (0:2)
1:0 ნატალი (4ს.კ.), 1:1 ლაცარი (10), 2:1 ზალაიეტა (33), 2:2 ლაცარი (43), 3:2 ტრეზეგე (79), 3:3 ლაცარი (90)
იუვენტუსი: კიმენტი, ბირინდელი (ძებინა 55), ტუდორი, მონტერო, პესოტო (დელ პიერო 72), რ. ოლივერა, ტაკინარდი, აპია (კამორანეზი 55), კაპო, ტრეზეგე, ზალაიეტა
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაძევება: ტაკინარდი (79)
მსაჯი: აიროლდი

ლაციო 3:2დ.დ.(2:1) კალიარი (1:2)
1:0 ა. ფილიპინი (10), 2:0 როკი (64), 2:1 კონტი (81), 2:2 ძოლა (102), 3:2 როკი (119)

უდინეზე 3:4 ლეჩე (5:4)
1:0 დი მიკელე (6), 1:1 ვუჩინიჩი (39), 1:2 ბიელანოვიჩი (46), 1:3 კონანი (82), 1:4 ვუჩინიჩი (84), 2:4 იაკინტა (88), 3:4 დი ნატალე (90)

სიენა 1:5 რომა (2:1)
0:1 დელასი (12), 0:2 ტოტი (35), 1:2 მაკარონე (44პ), 1:3 ა. კასანო (46), 1:4 მონტელა (49), 1:5 კორვია (65)
გაძევება: ჩირილო (73, სიენა)

ლაცარიქქიამ დევი წააქცია

ანდრეა ლაცარი ტურინელებს მწარედ მოაგონდებათ

კოპა იტალიის მერვედფინალის ხუთშაბათის საპასუხო მატჩები გაცილებით უფრო საინტერესო გამოდგა, ვიდრე ოთხშაბათისა. თუ ოთხშაბათის მატჩები ამხანაგურს უფრო ჰგავდა და ყველაფერი წინდაწინვე იყო განსაზღვრული, ხუთშაბათს საქმეები სხვაგვარად წავიდა.

„ატალანტამ" სერია A-ს ლიდერ „იუვენტუსს" მისსავე სტადიონზე სამი გოლი გაუტანა და შეჯიბრს გამოთიშა.

ამ მატჩის უდავო გმირი, ისევე როგორც პირველი მერვედფინალური მატჩისა, ბერგამოელთა 20 წლის ნახევარმცველი ანდრეა ლაცარი იყო. ორი მატჩის ჯამში ბერგამოელებმა ტურინელებს ხუთი გოლი გაუტანეს და ხუთივე ლაცარის ანგარიშზეა. თავისთავად ხუთი გოლი ბრწყინვალე შედეგია და იმის გათვალისწინებით, რომ ლაცარიმ ეს გოლები დაცვის სიმტკიცით განთქმულ „იუვენტუსს" გაუტანა, საარაკო შედეგად შეიძლება ჩაითვალოს. საფიქრებელია, რომ ასეთი შედეგიანობის მერე ლაცარის მოკრძალებულ „ატალანტაში" დიდხანს აღარ გააჩერებენ და რომელიმე დიდ გუნდში გაამწესებენ.

არადა, მატჩის დასაწყისი სტუმრებს კარგს არაფერს უქადდათ. მეოთხე წუთზე ბერგამოელმა მცველმა ჩეზარე ნატალიმ საკუთარ კარში შეაგდო ბურთი და „იუვენს" მეოთხედფინალში გასვლის კარგი შანსი გაუჩნდა.

ლაცარიმ მალევე გაათანაბრა. ახლა „იუვენს" კიდევ სამი გოლის გატანა სჭირდებოდა.

მარსელო ზალაიეტამ მასპინძლები ისევ დააწინაურა და თამაშის გადარჩენის იმედიც ისევ გაჩნდა — „იუვენს" კიდევ ორი გოლის გასატანად თითქმის სამოცი წუთი რჩებოდა.

პირველი ტაიმის დასრულებას აღარაფერი უკლდა, რომ ლაცარიმ ისევ გაიტანა, რაც ნიშნავდა, რომ შესვენების მერე „იუვენს" ისევ სამი გოლი ჰქონდა გასატანი, ეს კი, რეალობასთან მაინცდამაინც ახლოს არ იყო.

მართლაც, მეორე ტაიმში ტურინელებმა ერთიღა გაიტანეს და ეს დავიდ ტრეზეგემ მოახერხა, ვისაც ტრავმის გამო სამი თვე არ ეთამაშა და დაბრუნება გოლიანი გამოუვიდა.

ლაცარიმ კი მესამე წამატებულ დროში გაიტანა და „ატალანტა" მეოთხედფინალში „ინტერთან" საპაექროდ ემზადება.

სათასო ბრძოლას ჩამოშორდა „ლაციოც", თუმცა რომაული კლუბი „იუვეზე" მეტად იმსახურებდა მეოთხედფინალში ადგილს.

„კალიარის" პირველი თამაში ერთი ბურთის უპირატესობით ჰქონდა მოგებული და საპასუხოში იმის მცდელობაში იყო, როგორმე გოლი არ გაეშვა.

კუნძულელთა ეს მცდელობა მატჩის დასაწყისშივე აღიკვეთა, როცა მეათე წუთზე ანტონიო ფილიპინიმ შეაგდო და ორი მატჩის ჯამში, სტუმრად გატანილი მეტი გოლის წყალობით, „ლაციო" დაწინაურდა.

აქ საინტერესო ის არის, რომ კალიარელებს არც ამის მერე დასტყობიათ განსაკუთრებული მონდომება. რომაელებმა კი მეორეც გაიტანეს და თამაში თითქოს საბოლოოდ გარდატეხეს.

მაგრამ მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი რამ: ძირითადი დროის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე დანიელე კონტიმ ერთი ბურთი გაქვითა და თამაში დამატებით დროში გადავიდა.

„ლაციო" სწორედ ამან დაღუპა, მატჩის გმირი კი ბებერი ჯანფრანკო ძოლა შეიქნა, რომლმაც კარიერის მიწურულს კუდი მოიქნია და გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

„უდინეზემ" და „ლეჩემ" ერთმანეთს ორი მატჩის ჯამში რვა-რვა გოლი გაუტანეს — იშვიათი შეგიანობაა და ამათ საპასუხო მატჩშიც ყველაფერი ბოლო წამებზე გადაწყდა.

სათითაოდ ჯიოლების ჩამოტვლა შორს წაგიყვანს, და იმაზე გავიმახვილოთ ყურადღება, რომ 88-ე წუთამდე „უდინეზე" 1:4 აგებდა და მეოთხედფინალში გასასვლელად ორი გოლის გატანა სჭირდებოდა.

აბა, როგორ არ გავიხსენოთ „ინტერის" ამასწინანდელი გმირობა, როცა იმავ 88-ე წუთშე 0:2 აგებდა „სამპდორიასთან" და 3:2 მოიგო.

აქაც იგივე ამბავი დატრიალდა. 88-ედან ოთხწუთიან მონაკვეთში უდინელებმა ორი გოლი გაიტანეს და სტუმრად გატანილი მეტი ბურთის წყალობით მეოთხედფინალში გავიდნენ. იქ მათი მეტოქე „მილანი" იქნება.

„რომამ" მიწასთან გაასწორა „სიენა", ხუთი გოლი გაუტანა, მაგრამ დიდი შანსი იყო, ეს მატჩი საერთოდ არ დამთავრებულიყო.

უცნაურია, მაგრამ მატჩი ჩაშლის პირას არა მასპინძელმა, არამედ რომაელმა გულშემატკივრებმა მიიყვანეს. მათ იმდენი მაშხალა აანთეს, რომ სტადიონი ლამის გადაწვეს. თამაში 35-ე წუთზე შეწყდა და ერთი საათის მერე განახლდა.

ისე, სიენელებს კი ერჩივნათ, არ განახლებულიყო, მაგრამ „რომას" გულშემატკივრები არც ისე სულელები იყვნენ.

ირაკლი ნინიძე

1/4 ფინალის წილისყრა

კალიარი — სამპდორია
ინტერი — ატალანტა
რომა — ფიორენტინა
უდინეზე — მილანი

I მატჩები გაიმართება 26 იანვარს
საპასუხოები — 2 მარტს

იტალია

პოტე კეკელია

XIX ტური

დღეს

ბრეშა	:	ფიორენტინა
რეჯინა	:	ინტერი

ხვალ

ატალანტა	:	სიენა
კალიარი	:	იუვენტუსი
კიევო	:	რომა
ლაციო	:	პალერმო
ლივორნო	:	მესინა
მილანი	:	უდინეზე
პარმა	:	ლეჩე
სამპდორია	:	ბოლონია

სადღეისო ვითარება

იუვენტუსი	18	13	4	1	33:10	43
მილანი	18	11	6	1	32:11	39
უდინეზე	18	10	4	4	27:15	34
ინტერი	18	6	12	0	38:26	30
სამპდორია	18	8	3	7	19:15	27
რომა	18	7	5	6	33:27	26
პალერმო	18	6	7	5	16:12	25
კალიარი	18	7	4	7	26:31	25
ლაციო	18	6	5	7	25:26	23
რეჯინა	18	6	5	7	16:20	23
ლეჩე	18	5	7	6	34:36	22
ფიორენტინა	18	5	7	6	18:21	22
მესინა	17	5	6	6	21:26	21
ბოლონია	18	5	5	8	19:20	20
ლივორნო	18	5	5	8	20:26	20
კიევო	18	5	5	8	16:26	20
ბრეშა	18	5	3	10	14:24	18
პარმა	18	3	7	8	18:30	16
სიენა	18	3	7	8	14:26	16
ატალანტა	17	1	7	9	13:24	10

მეფრინავე ვირები კერპის წინაშე

ამ ტურში შესაძლოა „იუვენტუსისთვის" ძალიან კარგი რამ მოხდეს. მეორეადგილისანი „მილანი" და მესამეზე მყოფი „უდინეზე" ერთმანეთს ხვდებიან და თუ მილანელებმა ისევ დაკარგეს ქულები, „ბებერი ქალბატონისთვის" უკეთესი რა უნდა იყოს.

მოსაზრებას, რომ „უდინეზე" „სან სიროზე" შეიძლება რამეს გამორჩეს, მყარი საფუძველი აქვს. უდინელები საზოგადოდ კარგად თამაშობენ მილანში, წინა სეზონში კი ერთადერთნი იყვნენ, „მილანი" მისსავე მოედანზე რომ დაამარცხეს. აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ მილანელებმა ბოლო ტურში „პალერმო" ვერ დაამარცხეს. ერთიცაა: „უდინეზე" როგორც არასდროს ახლოსაა ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად და რა გასაკვირია, თუ უშუალო კონკურენტს ორმაგი მონდომებით შეერკინება.

მეორე მხრივ, თუ შემადგენლობებს გადავავლებთ თვალს, უკეთესი მდგომარეობა მასპინძლებს აქვთ. მათ ტრავმამოშუშებული იაპ სტამი დაუბრუნდა, ალესანდრო ნესტამ დისკვალიფიკაცია მოიხადა და ისიც შეძლებს თამაშს. „უდინეზეს" კი არ ეყოლება დისკვალიფიცირებული დავიდ დი მიკელე, რომელსაც სავარაუდოდ სტეფანო მაური შეცვლის. საეჭვოა, ვალერიო ბერტოტოს თამაშიც.

ამასობაში „იუვენტუსი" „კალიარის" ესტუმრება და დავიდ ტრეზეგესაც იახლებს. ფრანგმა ფორვარდმა სამთვიანი მკურნალობის მერე გუშინწინ კოპა იტალიაზე გოლიც გაიტანა.

ჯერაც დაუმარცხებელი „ინტერი" რეჯო კალაბრიაში ჩადის და, ვინძლო, ისევ მოიგოს — ყოველ შემთხვევაში, არ წააგოს მაინც.

მილანელთა შემადგენლობაში წინა მატჩთან შედარებით ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ალვარო რეკობა საუკეთესო ფორმაშია, ადრიანომ კი „სამპდორიასთან" მაინცდამაინც ვერ გაიბრწყინა, რობერტო მანჩინი სასტარტო შემადგენლობაში სავარაუდოდ ისევ ბრაზილიელს ათამაშებს. „რეჯინას" დისკვალიფიკაციის მოხდის მერე ფორვარდი ემილიანო ბონაცოლი უბრუნდება.

ჩავარდნის მერე მეექვსე ადგილამდე აღზევებული „რომა" ვერონაში ხვდება „კიევოს". რომაელთა მწვრთნელი ლუიჯი დელ ნერი კი მოგეხსენებათ ის კაცია, ვინაც ოთხი სეზონის წინ „მფრინავი ვირები" უმაღლეს სერიაში აიყვანა და იქაურთა კერპია.

ზევით მიიწევს მეორე რომაული კლუბი „ლაციო", რომელმაც ახალი მწვრთნელის მისვლის მერე მიჯრით სამი თამაში მოიგო. ამათგან მესამე, იტალიის თასზე, თუმცა ორი მატჩის ჯამში გათამაშებიდან მაინც გავარდა.

რომაელებს ერთი ახალი ფეხბურთელიც ჰყავთ, „სამპდორიადან" წაყვანილი ფაბიო ბაცანი, რომლის დებიუტიც ეგებ ამ ტურში „პალერმოსთან" შედგეს. თუმცა ისიც შეიძლება, რომ ჯუზეპე პაპადოპულომ ბაცანი სკამზე დატოვოს, სასტარტოში კი ტომაზო როკი ათამაშოს.

ლუიჯი დელ ნერი

ლივერპული, „ენფილდ როუდი" დღეს, 15.30 საათი

ლივერპული VS მანჩესტერი

ორმოცდაერთი სასაცილო მიზეზი

ბენიტესი მანჩესტერს მორიენტესს დაახვედრებს

ესპანელმა ესპანელს შესაძლოა, დღესვე ბრძოლაში უკრას თავი. გამორიცხული არ არის, „ენფილდზე" რაფაელ ბენიტესმა ფერნანდო მორიენტესი „მანჩესტერ იუნაიტედის" დაავჯახოს. ეს არც იქნება გასაკვირი, რადგან „ლივერპულმა" ფორვარდი იმიტომ იყიდა, რომ შეტევაში მოიკოჭლებს. ახალ გუნდთან და გარემოსთან შეგუება მორიენტესს არ გაუჭირდება, რადგან მას განსაკუთრებული უნარი აქვსო, განაცხადა ბენიტესმა. მილან ბაროშმა კი თქვა, „ელ მორო" თავით თამაშში იან კოლერივით ძლიერია, მე და მორიენტესი ისე ვიქნებით „ლივერპულში", როგორც მე და კოლერი ვართ ჩეხეთის ნაკრებშიო.

დღეს კი ლივერპულს ესტუმრება „მანჩესტერ იუნაიტედი", რომელსაც ბოლო რვა მატჩიდან ერთიც არ წაუგია, მაგრამ ისიცაა, რომ ფერგიუსონის შეგირდებმა ზედიზედ სამჯერ („ტოტენჰემი", „ექსეტერი", „ჩელსი") უგოლო ფრე ითამაშეს. ამ გუნდების პირველი საამსეზონო შეხვედრა მანჩესტერელებმა 2:1 მოიგეს და სამივე გოლი მასპინძლება მიითვალეს. სილვესტრმა მეტოქეს ორი გაუტანა, ოშიმ კი ერთი საკუთარ კარში შეაგდო. როი კინი დღეს გოლს თუ გაიტანს, მისთვის საიუბილეო, 50-ე იქნება. იუბილარები შესაძლოა გახდნენ: დიტმარ ჰამანი (250-ე მატჩი), ჰარი კიუელი (50-ე) და ჯიმი ტრაორე (მე-100).

„ლივერპულის" ოფიციალური საინტერნეტო ვებ-გვერდის რედაქტორებმა 41 მიზეზი გამოაქვეყნეს, რომლებიც „მანჩესტერ იუნაიტეტის" დაცინვას იწვევს. მაგალითად, 1989-90 წლების სეზონში, პირველივე ტურის შემდეგ, მანჩესტერულმა გაზეთმა გამოაქვეყნა ჩემპიონატის ცხრილი, რომელშიც „იუნაიტედი" პირველ ადგილზე იყო. ლივერპულელებმა ამაზე იცინეს, რადგან „მანჩესტერ იუნაიტედი" 1967-89 წლების მონაკვეთში პირველ ადგილზე არასოდეს ყოფილა.

ქილიკის კიდევ ერთი მიზეზი: ლივერპულელებს აინტერესებთ, როგორ ახერხებს მათი გუნდის სამი ათასი ქომაგი „ოლდ ტრეფორდზე" ისე ხმამაღლა სიმღერას, რომ 64 ათასი მასპინძელი ფანის ხმას ახშობს. რედაქტორები 2003 წელსაც იხსენებენ. მაშინ ლიგის თასის ფინალში მანჩესტერელები „ლივერპულთან" დამარცხდნენ. ნამატჩევს კი წაგებულებს უთქვამთ, ეს თასი სულაც არ გვჭირდებოდა, რა დიდი ჯილდო ეგ არისო, არადა საამატჩოდ უძლიერესი შემადგენლობა გაუყვანიათ.

რაც შეეხება სადღეისო შემადგენლობას, სტუმრებს ალბათ რაიან გიგზი დააკლდებათ, პოლ სქოულზი, ლუი საა და უეინ რუნი კი შეუტევენ, ხოლო მასპინძლებს, ცხადია, სტივენ ჯერარდის ეიმედებათ, რომელმაც ბოლო ცხრა ტურში ოთხი გოლი გაიტანა.

იაკუბუ აიეგბენი: შირერის მეგობარი

იაკუბუ აიეგბენი

„ნიუკასლმა" გამოაცხადა, რომ მთავარ სატრანსფერო მიზნად „პორტსმუთის" მეგოლე იაკუბუ აიეგბენი ჰყავს.

მენეჯერმა გრემ სუნესმა თქვა, რომ იაკუბუ ალან შირერის საუკეთესო შემცვლელი იქნება მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი თამაშს თავს დაანებებს.

ნიგერიელი „ბირმინგემსაც" სურს და 7,5 მილიონ გირვანქასაც იხდის, ოღონდაც „ნიუკასლს" მეტის შეთავაზება შეძლებია.

იაკუბუ 22 წლისაა და სუნესმა მას შემდეგ დაადგა თვალი, რაც „ფულემიდან" პორტუგალიელი ლუიშ ბოა მორტე ვერ გადაიბირა.

ირაკლი გამყრელიძე

ლემანის ბოლო

„არსენალის" მეკარე იენს ლემანისთვის ამაოდ არ ჩაუვლია მენეჯერ არსენ ვენგერის კრიტიკას. 35 წლის გერმანელი მენეჯერს დაუბარებია და უთქვამს, რახან ასე ფიქრობ, რომ მე მეკარის ამოჩემება ვიცი, ზაფხულში უეჭველად გაგყიდი, მანამდე კი პრემიერლიგის მატჩებს ველარასოდეს ითამაშებო.

ირაკლი გამყრელიძე

ინგლისი

ვაჟა ხუციშვილი

XXIII ტური

დღეს

ასტონ ვილა	:	ნორვიჩი
ტოტენჰემი	:	ჩელსი
ბოლტონი	:	არსენალი
ჩარლტონი	:	ბირმინგემი
ლივერპული	:	მანჩესტერი
სიტი	:	კრ. პალასი
ნიუკასლი	:	საუთჰემპტონი
პორტსმუთი	:	ბლექბერნი

ხვალ

მიდლსბრო	:	ევერტონი
ფულემი	:	ვესტ ბრომვიჩი

საადღეისო ვითარება

ჩელსი	22	17	4	1	43:8	55
არსენალი	22	14	6	2	52:24	48
მანჩესტერი	22	12	8	2	33:13	44
ევერტონი	22	13	4	5	27:23	43
ლივერპული	22	11	4	7	36:22	37
მიდლსბრო	22	10	5	7	34:28	35
ტოტენჰემი	22	9	6	7	29:21	33
ჩარლტონი	22	9	4	9	24:32	31
სიტი	22	7	7	8	27:23	28
ასტონ ვილა	22	7	7	8	23:26	28
ბოლტონი	22	7	6	9	29:31	27
პორტსმუთი	22	7	6	9	26:30	27
ბირმინგემი	22	6	8	8	25:25	26
ნიუკასლი	22	6	8	8	33:39	26
ფულემი	22	6	4	12	28:39	22
ბლექბერნი	22	4	10	8	20:33	22
კრ. პალასი	22	4	6	12	23:34	18
ნორვიჩი	22	2	10	10	19:39	16
საუთჰემპტონი	22	2	9	11	22:37	15
ვესტ ბრომვიჩი	22	1	10	11	17:43	13

თხუთმეტი წლის უმოგელი მაპალი

მარტინ იოლის ხელში გაცოცხლებული „ტოტენჰემი" ლონდონურ დერბიში „ჩელსის" მასპინძლობს. „მამლებს" ბოლო რვა პრემიერლიგური მატჩი არ წაუგიათ, ხოლო „არისტოკრატებს" — 13. „ტოტენჰემი" 15 წლის განმავლობაში ამაოდ ცდილობს თანაქალაქელი გუნდის დამარცხებას, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მოახერხა. ეგებ დღეს გატეხოს ნავსი და ეს შავი სერია დაასრულოს. „ჩელსიმ" ბოლო ხუთი შეხვედრა ზედიზედ ისე მოიგო, რომ გოლი არ გაუშვია და თუ გააექვსა, პრემიერლიგის რეკორდსმენები გახდება.

„ბოლტონმა" ათმატჩიანი მოუგებელი სვლა „ბირმინგემის" ძლევით დაასრულა და ახლა „არსენალს" დაუხვდება. „მეთოფეებს" კარგად ახსოვთ 2003 წელი, როცა ბოლტონში 2:2 ითამაშეს და ჩემპიონობა ხელიდან გაუსხლტათ. „ჩელსისთან" გაჯიბრება თუ სურთ, სტუმრებმა ეს შეხვედრა უნდა მოიგონ.

ტრავმამოშუშებული ალან შირერი დღეს სავარაუდოდ ითამაშებს. 34 წლის ფორვარდს 12 მატჩი გაუცდა. გრემ სუნესის გუნდში შესაძლოა, სელესტინ ბაბაიაროსა და ჟანალენ ბუმსონგის დებიუტი შედგეს. სუნესის მისვლის დღიდან „კაჭკაჭებმა" რამდენიმე მატჩი ალმავლობით ჩაატარეს, შემდეგ კი უკლეს და მეთოთხმეტე ადგილზე დაეშვნენ.

მარტინ იოლის ხელში „ტოტენჰემს" რვა პრემიერლიგური მატჩი არ წაუგია

„ჩარლტონი" პრემიერლიგის ათეულში მოკალათდა, მას შემდეგ, რაც გასული წლის ბოლოს ქულები მოხვეტა, მაგრამ იანვარში ზედიზედ ორი მარცხი იგემა, ისევე როგორც მისმა მეტოქე „ბირმინგემმა".

დევიდ ოლირის „ასტონ ვილამ" ბოლო ცხრა მატჩიდან შვიდი წააგო. მათ შორის ასოციაციის თასზე „შეფილდ იუნაიტედთან" და თასიდან გავარდა. შესაძლოა, მანჩესტერელებს დარიუს ვასელი დაუბრუნდეთ, რომელიც ოქტომბრის მერე მკურნალობდა. ბირმინგემელები „ნორვიჩს" დაუხვდებიან, სტუმართა შემადგენლობაში სარეკორდო თანხის სანაცვლოდ შეძენილი ფორვარდი დინ ეშტონი ითამაშებს.

10122	ბილბაო-ესპანიოლი	2.3	2.1	4.0	1.09	1.46	1.37
10123	ბეტისი-მალიორკა	1.95	2.1	5.5	1.01	1.43	1.51
10124	ბარსელონა-სოსიედადი	1.55	2.5	6.7	1.0	1.25	1.82
10125	რეალი-სარაგოსა	1.55	2.5	6.7	1.0	1.25	1.82

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11001	ლივერპული-მანჩესტერი	3.7	10.0	20.0	4.6	4.4	4.8	20.0	10.0	4.0
11002	სიტი-კრისტალ პალასი	2.2	10.0	20.0	3.5	4.6	7.5	20.0	10.0	7.0
11003	ასტონ ვილა-ნორვიჩი	2.3	10.0	20.0	3.5	4.6	9.0	20.0	10.0	8.0
11004	ნიუკასლი-საუთჰემპტონი	2.0	10.0	20.0	3.5	4.6	9.0	20.0	10.0	8.0
11005	პორტსმუთი-ბლეკბერნი	3.0	10.0	20.0	4.0	4.4	6.0	20.0	10.0	5.3
11006	ტოტენჰემი-ჩელსი	7.0	10.0	20.0	7.5	4.4	3.5	20.0	10.0	2.5
11007	ჩარლტონი-ბირმინგემი	3.0	10.0	20.0	4.0	4.4	6.0	20.0	10.0	5.3
11008	ბოლტონი-არსენალი	7.5	10.0	20.0	8.5	4.4	3.5	20.0	10.0	1.9
11009	მიდლსბრო-ევერტონი	3.3	10.0	20.0	4.4	4.4	5.3	20.0	10.0	4.6
11010	ფულემი-ვესტ ბრომვიჩი	2.4	10.0	20.0	3.5	4.6	7.5	20.0	10.0	7.0
11074	ბრეშა-ფიორენტინა	3.3	10.0	20.0	4.4	4.4	5.3	20.0	10.0	4.6
11075	რეჯინა-ინტერი	6.5	10.0	20.0	7.5	4.4	3.6	20.0	10.0	2.4
11076	სამპდორია-ბოლონია	2.5	10.0	20.0	3.5	4.6	7.5	20.0	10.0	7.0
11077	ატალანტა-სიენა	3.3	10.0	20.0	4.4	4.4	5.3	20.0	10.0	4.6
11078	კიევო-რომა	4.0	10.0	20.0	4.8	4.4	4.4	20.0	10.0	3.5

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11079	ლაციო-პალერმო	3.0	10.0	20.0	4.0	4.4	6.0	20.0	10.0	5.3
11080	ლივორნო-მესინა	3.1	10.0	20.0	4.0	4.4	6.0	20.0	10.0	5.3
11081	მილანი-უდინეზე	1.9	12.0	25.0	3.5	4.8	11.0	20.0	11.0	11.0
11082	პარმა-ლეჩე	2.9	10.0	20.0	3.8	4.4	5.5	20.0	10.0	5.6
11083	კალიარი-იუვენტუსი	6.5	10.0	20.0	7.0	4.4	3.6	20.0	10.0	2.4
11116	ხეტაფე-ატლეტიკო	3.6	10.0	20.0	4.6	4.4	4.8	20.0	10.0	3.8
11117	მალაგა-სევილია	4.0	10.0	20.0	4.8	4.4	4.6	20.0	10.0	3.5
11118	ოსასუნა-ვალენსია	4.0	10.0	20.0	4.8	4.4	4.4	20.0	10.0	3.6
11119	დეპორტივო-ნუმანსია	1.7	12.0	25.0	3.5	4.8	10.0	20.0	10.0	10.0
11120	ლევანტე-ვილიარეალი	3.6	10.0	20.0	4.6	4.4	4.8	20.0	10.0	3.8
11121	ალბასეტე-რასინგი	2.9	10.0	20.0	4.2	4.4	5.6	20.0	10.0	5.0
11122	ბილბაო-ესპანიოლი	2.9	10.0	20.0	4.2	4.4	5.6	20.0	10.0	5.0
11123	ბეტისი-მალიორკა	2.3	10.0	20.0	3.5	4.6	9.0	20.0	10.0	8.0
11124	ბარსელონა-სოსიედადი	1.6	15.0	30.0	3.5	5.0	11.0	20.0	11.0	11.0
11125	რეალი-სარაგოსა	1.6	15.0	30.0	3.5	5.0	11.0	20.0	11.0	11.0

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12001 ლივერპული-მანჩესტერი	1.7	1.9
12002 სიტი-კრისტალ პალასი	1.7	1.9
12003 ასტონ ვილა-ნორვიჩი	1.7	1.9
12004 ნიუკასლი-საუთჰემპტონი	1.9	1.7
12005 პორტსმუთი-ბლეკბერნი	1.7	1.9
12006 ტოტენჰემი-ჩელსი	1.7	1.9
12007 ჩარლტონი-ბირმინგემი	1.7	1.9
12008 ბოლტონი-არსენალი	1.7	1.9
12009 მიდლსბრო-ევერტონი	1.7	1.9
12010 ფულემი-ვესტ ბრომვიჩი	1.7	1.9
12074 ბრეშა-ფიორენტინა	1.7	1.9
12075 რეჯინა-ინტერი	1.95	1.65
12076 სამპდორია-ბოლონია	1.7	1.9
12077 ატალანტა-სიენა	1.7	1.9
12078 კიევო-რომა	1.9	1.7
12079 ლაციო-პალერმო	1.7	1.9
12080 ლივორნო-მესინა	1.7	1.9
12081 მილანი-უდინეზე	1.9	1.7
12082 პარმა-ლეჩე	2.0	1.6
12083 კალიარი-იუვენტუსი	1.9	1.7
12116 ხეტაფე-ატლეტიკო	1.7	1.9
12117 მალაგა-სევილია	1.7	1.9
12118 ოსასუნა-ვალენსია	1.7	1.9
12119 დეპორტივო-ნუმანსია	1.7	1.9
12120 ლევანტე-ვილიარეალი	1.6	2.0
12121 ალბასეტე-რასინგი	1.7	1.9
12122 ბილბაო-ესპანიოლი	1.7	1.9
12123 ბეტისი-მალიორკა	1.7	1.9
12124 ბარსელონა-სოსიედადი	1.9	1.7
12125 რეალი-სარაგოსა	2.0	1.6

ფრეს გარეშე(ძირ. დრო)

16001 ლივერპული-მანჩესტერი	1.75	1.85
16002 სიტი-კრისტალ პალასი	1.25	3.1
16003 ასტონ ვილა-ნორვიჩი	1.25	3.1
16004 ნიუკასლი-საუთჰემპტონი	1.2	3.3
16005 პორტსმუთი-ბლეკბერნი	1.4	2.25
16006 ტოტენჰემი-ჩელსი	2.5	1.3
16007 ჩარლტონი-ბირმინგემი	1.4	2.25
16008 ბოლტონი-არსენალი	3.3	1.2
16009 მიდლსბრო-ევერტონი	1.45	2.2
16010 ფულემი-ვესტ ბრომვიჩი	1.3	2.8
16074 ბრეშა-ფიორენტინა	1.6	1.95
16075 რეჯინა-ინტერი	2.7	1.3
16076 სამპდორია-ბოლონია	1.3	2.8
16077 ატალანტა-სიენა	1.5	2.2
16078 კიევო-რომა	2.2	1.5
16079 ლაციო-პალერმო	1.4	2.3
16080 ლივორნო-მესინა	1.4	2.3
16081 მილანი-უდინეზე	1.15	4.2
16082 პარმა-ლეჩე	1.35	2.6
16083 კალიარი-იუვენტუსი	2.45	1.25
16116 ხეტაფე-ატლეტიკო	1.7	1.85
16117 მალაგა-სევილია	2.0	1.6
16118 ოსასუნა-ვალენსია	1.95	1.6
16119 დეპორტივო-ნუმანსია	1.1	4.5
16120 ლევანტე-ვილიარეალი	1.6	1.95
16121 ალბასეტე-რასინგი	1.4	2.5
16122 ბილბაო-ესპანიოლი	1.4	2.5
16123 ბეტისი-მალიორკა	1.25	3.2
16124 ბარსელონა-სოსიედადი	1.1	4.6
16125 რეალი-სარაგოსა	1.1	4.6

ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

	ლუწი	კენტი
17001 ლივერპული-მანჩესტერი	1.85	1.95
17002 სიტი-კრისტალ პალასი	1.85	1.95
17003 ასტონ ვილა-ნორვიჩი	1.85	1.95
17004 ნიუკასლი-საუთჰემპტონი	1.85	1.95
17005 პორტსმუთი-ბლეკბერნი	1.85	1.95
17006 ტოტენჰემი-ჩელსი	1.85	1.95
17007 ჩარლტონი-ბირმინგემი	1.85	1.95
17008 ბოლტონი-არსენალი	1.85	1.95
17009 მიდლსბრო-ევერტონი	1.85	1.95
17010 ფულემი-ვესტ ბრომვიჩი	1.85	1.95
17074 ბრეშა-ფიორენტინა	1.85	1.95
17075 რეჯინა-ინტერი	1.85	1.95
17076 სამპდორია-ბოლონია	1.85	1.95
17077 ატალანტა-სიენა	1.85	1.95
17078 კიევო-რომა	1.85	1.95
17079 ლაციო-პალერმო	1.85	1.95
17080 ლივორნო-მესინა	1.85	1.95
17081 მილანი-უდინეზე	1.85	1.95
17082 პარმა-ლეჩე	1.85	1.95
17083 კალიარი-იუვენტუსი	1.85	1.95
17116 ხეტაფე-ატლეტიკო	1.85	1.95
17117 მალაგა-სევილია	1.85	1.95
17118 ოსასუნა-ვალენსია	1.85	1.95
17119 დეპორტივო-ნუმანსია	1.85	1.95
17120 ლევანტე-ვილიარეალი	1.85	1.95
17121 ბილბაო-ესპანიოლი	1.85	1.95
17123 ბეტისი-მალიორკა	1.85	1.95
17124 ბარსელონა-სოსიედადი	1.9	1.9
17125 რეალი-სარაგოსა	1.9	1.9

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანი ფაგებულად ჩაითვლება)

14001 ლივერპული-მანჩესტერი	1.9	1.9
14002 სიტი-კრისტალ პალასი	1.45	2.4
14003 ასტონ ვილა-ნორვიჩი	1.4	2.5
14004 ნიუკასლი-საუთჰემპტონი	1.3	2.5
14005 პორტსმუთი-ბლეკბერნი	1.7	2.2
14006 ტოტენჰემი-ჩელსი	2.4	1.45
14007 ჩარლტონი-ბირმინგემი	1.75	2.1
14008 ბოლტონი-არსენალი	2.5	1.3
14009 მიდლსბრო-ევერტონი	1.8	2.0
14010 ფულემი-ვესტ ბრომვიჩი	1.45	2.4
14074 ბრეშა-ფიორენტინა	1.8	2.0
14075 რეჯინა-ინტერი	2.2	1.7
14076 სამპდორია-ბოლონია	1.65	2.3
14077 ატალანტა-სიენა	1.8	2.0
14078 კიევო-რომა	1.95	1.8
14079 ლაციო-პალერმო	1.7	2.2
14080 ლივორნო-მესინა	1.75	2.1
14081 მილანი-უდინეზე	1.3	2.5
14082 პარმა-ლეჩე	1.7	2.2
14083 კალიარი-იუვენტუსი	2.3	1.65
14116 ხეტაფე-ატლეტიკო	1.9	1.9
14117 მალაგა-სევილია	1.95	1.85
14118 ოსასუნა-ვალენსია	1.95	1.85
14119 დეპორტივო-ნუმანსია	1.3	2.5
14120 ლევანტე-ვილიარეალი	1.9	1.9
14121 ალბასეტე-რასინგი	1.75	2.1
14122 ბილბაო-ესპანიოლი	1.75	2.1
14123 ბეტისი-მალიორკა	1.45	2.4
14124 ბარსელონა-სოსიედადი	1.2	2.6
14125 რეალი-სარაგოსა	1.2	2.6

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15001	ლივერპული-მანჩესტერი	3.0	2.8	2.0
15002	სიტი-კრისტალ პალასი	3.0	2.8	2.0
15003	ასტონ ვილა-ნორვიჩი	3.0	2.8	2.0
15004	ნიუკასლი-საუთჰემპტონი	3.0	2.8	2.0
15005	პორტსმუთი-ბლეკბერნი	3.0	2.8	2.0
15006	ტოტენჰემი-ჩელსი	3.0	2.8	2.0
15007	ჩარლტონი-ბირმინგემი	3.0	2.8	2.0
15008	ბოლტონი-არსენალი	3.0	2.8	2.0
15009	მიდლსბრო-ევერტონი	3.0	2.8	2.0
15010	ფულემი-ვესტ ბრომვიჩი	3.0	2.8	2.0
15074	ბრეშა-ფიორენტინა	3.0	2.8	2.0
15075	რეჯინა-ინტერი	3.0	2.8	2.0
15076	სამპდორია-ბოლონია	3.0	2.8	2.0
15077	ატალანტა-სიენა	3.0	2.8	2.0
15078	კიევო-რომა	3.0	2.8	2.0
15079	ლაციო-პალერმო	3.0	2.8	2.0
15080	ლივორნო-მესინა	3.0	2.8	2.0
15081	მილანი-უდინეზე	3.0	2.8	2.0
15082	პარმა-ლეჩე	3.0	2.8	2.0
15083	კალიარი-იუვენტუსი	3.0	2.8	2.0
15116	ხეტაფე-ატლეტიკო	3.0	2.8	2.0
15117	მალაგა-სევილია	3.0	2.8	2.0
15118	ოსასუნა-ვალენსია	3.0	2.8	2.0
15119	დეპორტივო-ნუმანსია	3.0	2.8	2.0
15120	ლევანტე-ვილიარეალი	3.0	2.8	2.0
15121	ალბასეტე-რასინგი	3.0	2.8	2.0
15122	ბილბაო-ესპანიოლი	3.0	2.8	2.0
15123	ბეტისი-მალიორკა	3.0	2.8	2.0
15124	ბარსელონა-სოსიედადი	3.0	2.8	2.0
15125	რეალი-სარაგოსა	3.0	2.8	2.0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

	კი	არა
13001 ლივერპული-მანჩესტერი	1.7	1.9
13002 სიტი-კრისტალ პალასი	1.7	1.9
13003 ასტონ ვილა-ნორვიჩი	1.7	1.9
13004 ნიუკასლი-საუთჰემპტონი	1.7	1.9
13005 პორტსმუთი-ბლეკბერნი	1.7	1.9
13006 ტოტენჰემი-ჩელსი	1.7	1.9
13007 ჩარლტონი-ბირმინგემი	1.7	1.9
13008 ბოლტონი-არსენალი	1.7	1.9
13009 მიდლსბრო-ევერტონი	1.7	1.9
13010 ფულემი-ვესტ ბრომვიჩი	1.7	1.9
13074 ბრეშა-ფიორენტინა	1.7	1.9
13075 რეჯინა-ინტერი	1.6	2.0
13076 სამპდორია-ბოლონია	1.7	1.9
13077 ატალანტა-სიენა	1.7	1.9
13078 კიევო-რომა	1.6	2.0
13079 ლაციო-პალერმო	1.7	1.9
13080 ლივორნო-მესინა	1.7	1.9
13081 მილანი-უდინეზე	1.7	1.9
13082 პარმა-ლეჩე	1.6	2.0
13083 კალიარი-იუვენტუსი	1.7	1.9
13116 ხეტაფე-ატლეტიკო	1.7	1.9
13117 მალაგა-სევილია	1.7	1.9
13118 ოსასუნა-ვალენსია	1.7	1.9
13119 დეპორტივო-ნუმანსია	1.8	1.8
13120 ლევანტე-ვილიარეალი	1.7	1.9
13121 ალბასეტე-რასინგი	1.7	1.9
13122 ბილბაო-ესპანიოლი	1.7	1.9
13123 ბეტისი-მალიორკა	1.7	1.9
13124 ბარსელონა-სოსიედადი	1.8	1.8
13125 რეალი-სარაგოსა	1.7	1.9

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

ბესიკ ლეჟავა „დიჟონის“ დუბლებში უკვე ორი თვეა, ვარჯიშობს, თუმც საფრანგეთის ახალგაზრდულ ჩემპიონატში მისი დებიუტი აქამდე გაიწელა. ბესო ჯერ გათავისუფლების ფურცელს ელოდა საქართველოს კალათბურთის ფედერაციიდან, შემდეგ კი როცა ეს საბუთი მიიღო, თავად დიჟონელებს აებურდათ ლეჟავას ფრანგულ ლიგაში რეგისტრაციის საქმეები. ამ ხნის განმავლობაში 18 წლის ქართველი მსროლელი გულმოდგინედ ვარჯიშობდა, იცოდა, რომ მისი მოედანზე გასვლის დროც დადგებოდა. ჰოდა, 4 იანვარს ყველაფერი გამზადდა და ლეჟავამაც საფრანგეთის ახალგაზრდული ლიგა რიხიანად დააჭაშნიკა. პატარა დიჟონელებმა პარიზელ თანატოლებს უმასპინძლეს და ამ მატჩში ჩვენებურმა 19 ქულა და 4 მოხსნა მიითვალა. ვერაფერს იტყვი, ჩინებული დებიუტია. არც მომდევნო მატჩი იყო ლეჟავასთვის უხეირო, თუმც ჯობს თავად მას მოვუსმინოთ...

ვინც მოითმენს, კარგ დებიუტს მოიგებს

ბესო ლეჟავა დიჟონში გამაგრდა



— გათავისუფლების ფურცლის ლოდინში და შემდეგ აქაური საბუთების მოწესრიგებაში კარგა ხანი გავიდა და მოედანზე მხოლოდ 4 იანვარს გავედი. ამ ხნის განმავლობაში კი ვნერვიულობდი, ძალიან მინდოდა თამაში, მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ ალბათ ჯობდა, „დიჟონში“ ჩემი დებიუტი გადადებულიყო.

— ამას რატომ ამბობ?

— აბა, აქ ჩამოსვლის შემდეგ პირდაპირ ოფიციალურ მატჩში რომ გავსულიყავი მოედანზე, გუნდთან შეუთამაშებელსა და უვარჯიშებელს ეგებ თავი შემერცხვინა. ყოველ შემთხვევაში, ისე ვერ ვითამაშებდი, როგორც ახლა — მე ხომ დიჟონელებთან კარგა ხნით ვივარჯიშე, შევთამაშდი მათთან და ახლა უფრო გამიადვილდა ყველაფერი.

— ისე ლაპარაკობ, დებიუტით კმაყოფილი უნდა იყო...

— რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვიქნები: ხუთეულში დავიწყე, 30 წუთი ვითამაშე და 19 ქულა გავაკეთე. სროლათა პროცენტული მაჩვენებლებიც მაღალი მქონდა — შვიდიდან ექვსი ორქულიანი და სამიდან ორი სამიანი ჩავაგდე. ყველამ შემაქო, ძალიან კმაყოფილი იყო მთავარი მწვრთნელი. ყველაზე კარგი კი ის არის, რომ მე თვითონ დავრჩი ჩემი თამაშით კმაყოფილი. სამწუხაროდ, ის მატჩი წავაგეთ...

— სამაგიეროდ, მეორე მატჩი მოიგეთ...

— „რეიმსთან“ ისეთი შედეგიანი არ ვყოფილვარ, როგორც პარიზთან“, თუმც ისეთ მომენტში ვიყოჩაღე, გადამწყვეტი რომ ეთქმოდა. თავიდან საკმაოდ ვპასიურობდი. მართალია, არაფერს ვაფუჭებდი, მაგრამ სარგებელიც არ მომიტანია „დიჟონისთვის“. ბოლო მეოთხედამდე თამაში თანაბარი იყო და სწორედ უკანასკნელ ათწუთეულში გავტეხეთ მეტოქე.

— ამ ამბავში შენც მონაწილეობდი...

— მანამდე ქულა რომ არ ჩამეგდო, ბოლო მეოთხედში ერთბაშად 12 მოვაგროვე და დიჟონელთა გამარჯვებაშიც თავისთავად დავიდე წილი. ვერ ვიტყვი, რომ ეს მატჩი უკეთ ვითამაშე, ვიდრე წინა, თუმც არც „რეიმსთან“ შემირცხვენია თავი. თვითკმაყოფილებას არ მინდა მივეცე, მაგრამ შემიძლია, ვთქვა, რომ „დიჟონს“ კარგად მოვერგე. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიმდის და იმედია, ასევე გავაგრძელებ.

— გუნდთან კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გაქვს?

— ასეა, მაგრამ თუ ტემპს არ დავაგდებ, ალბათ მომავალი სეზონისთვისაც დამიტოვებენ.

— ასე თუ გააგრძელე, ალბათ ძირითად გუნდში გადასვლის პერსპექტივაც გამოგიჩნდება...

— ჯერ მაგაზე არ ვფიქრობ, თუმც „დიჟონის“ ძირითად გუნდთან უკვე ვვარჯიშობ. ეს თავისთავად კარგია, რაკი დუბლიორებიდან მხოლოდ ორ მოთამაშეს გვაქვს ამის პატივი.

ირაკლი პერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი

13 იანვარი

ჰიუსტონი 94:85 ნიუ ჯერსი

ძირითადი დრო 81:81

ჰიუსტონი: სურა (35), მაკგრეიდი (18)
ნიუ ჯერსი: კარტერი (17), კიდი (16 ქულა, 10 მოხსნა, 6 ჩაჭრა)

საკრამენტო 107:93 იუტა

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (27), ვებერი (23 ქულა, 15 მოხსნა), მილერი (21)
იუტა: ჰარპრინგი (16), ბუზერი (15)

ლეიკერსი 98:94 კლივლენდი

ლეიკერსი: ოდომი (24), ბატლერი (21)
კლივლენდი: ჯეიმსი (28 ქულა, 13 მოხსნა, 9 პასი), მაკინისი (20)

საქართველოს თასის მესამე ბატალია

1 ეტაპი 16-21 იანვარი. რუსთავი

16 იანვარი	
დინამო — სტუ	14.00
ავიამშენი — თუჯი	16.00
17 იანვარი	
სტუ — ავიამშენი	14.00
თუჯი — თსუ	16.00
18 იანვარი	
თსუ — დინამო	14.00
რუსთავი — სტუ	16.00
20 იანვარი	
სტუ — თსუ	14.00
დინამო — ავიამშენი	16.00
21 იანვარი	
თსუ — ავიამშენი	14.00
რუსთავი — დინამო	16.00

ევროლიგა

Euroleague

პირველი ჯგუფური ეტაპი. X ტური. 12-13 იანვარი

ბოისამ ლიტველებს სამარე გაუთხარა

ოლიმპიამ ჟალგირისი საახალწლო გოჯივით შესანსლა

ახალი წლის დადგომამდე ორიოდ დღით ადრე ვლადიმერ ბოისამ გვითხრა, „ოლიმპიას“ ხელმძღვანელობა მთლად გადაირია, 31-შიც ვვარჯიშობთ და პირველშიცო. ლიუბლიანელთა კაპიტანმა ეს ფაქტი იმით ახსნა, რომ „ოლიმპიას“ უფროსობას თითქოს სურდა, მთელი ევროპისთვის ეჩვენებინა, ყველაზე გულმოდგინე და დისციპლინირებული გუნდი გვყავსო. ჩვენება ერთია და შედეგი მეორე — აგერ, ბატონო, ახალი წლის დღეებში ვარჯიშის შედეგი: „ოლიმპიამ“ ევროლიგის ერთ-ერთი გამორჩეული გუნდი, ამას წინათ ბობოლა „მაკაბის“ თელ-ავივში წამქცევი „ჟალგირისი“ დამარცხდა.

როცა ახალი წლის დღეებში ევროპის უმეტესი გუნდები შვებულებაში იყვნენ და მათი წევრები შამპანურს აშხეფებდნენ, „ოლიმპია“ დარბაზში იყო გამოკეტილი და მომავალი ბრძოლებისთვის დილა-საღამოს ემზადებოდა.

ლიუბლიანელებს არ გაუმართლათ ამ წლის პირველ მაგრამ გასამართლებელ მიზეზად კატალონიაში „ბარსელონასთან“ თამაში აქვთ, სადაც გამარჯვება იოლი არავისთვისაა. აგერ, მოვიდა მომდევნო ტური და ოლიმპიელებმა მშობლიურ „ტივოლი არენაზე“ პირველივე შემხვედრი დააჩოქეს. კიდევ უფრო კარგი ამბავი ისაა, რომ ჩვენებურმა ვლადიმერ ბოისამ კვლავ გაიბრწყინა.

ბოისამ 22 ქულა და 8 მოხსნა მოიხვეჭა და მარიან ბაზდრიჩთან ერთად ოლიმპიელთა გამარჯვების მთავარი მესაძირკვლე გახდა. ვოვამ თავიდან ისე დაიწყო, ლიტველებმა ალბათ იფიქრეს, ეს კაცი თუ არ გავაჩერეთ, მეორე ტაიმამდე ვერ მივატანთო და მას საგანგებო დაცვა მიუჩინეს.

ანგარიში ლიუბლიანელმა მარიან მანჩემ გახსნა, მერე კი ოლიმპიელთა მექულეობა ვლადიმერ ბოისამ იკისრა. ვოვამ სამქულიანიც ჩააგდო, ორიანიც და საჯარიმო ხაზიდანაც იხეირა — შედეგად „ოლიმპია“ მეტოქეს მოსწყდა და 12:2 დაწინაურდა.

ამ თორმეტში ბოისას ანგარიშზე 9 ქულა მოდიოდა, რაც საკმარისი საფეძველი გახლდათ, ბალტიელებს წუთშესვენება აეღოთ და ჩვენებურის გასანეიტრალებელი ტაქტიკა შეემუშავებინათ.

ამის შემდეგ იყო, ვოვას თანაგუნდელმა მარიან ბაზდარიჩმა რომ აიშვა და ლიტველების კალათს „ცეცხლი წაუკიდა“. ბოისა ძირითადად ფარს ეტანებოდა, რითაც ორსამ მეტოქეს ავტომატურად იზიდავდა და პერიმეტრზე მეტი გასაქანის მქონე ოლიმპიელებიც ხშირად ხეირობდნენ.

განსაკუთრებით ბაზდარიჩი გამორჩა, რომელმაც შვიდი სამქულიანი უთავაზა კაუნასელებს და 29 ქულით მატჩის ბომბარდირი გახდა. ისე, არც მაშინ უჭირდა „ოლიმპიას“, როცა ბაზდარიჩი ან სხვა რომელიმე უკანახაზელი გააცუდებდა სამიანს — ბოისა ხომ ფარქვეშ ჩასაფრებულიყო და საბოლოოდ თავისიანთაგან ყველაზე მეტი, 8 მოხსნა მოუგროვდა. აღსანიშნავია, რომ ვოვას ლიგის საუკეთესო მომხსენელთან, ჟალგირისელ ტანოკა ბერდთან უწევდა ჭიდილი და ის საბოლოოდ ოდენ ოთხ მოხსნას დააჯერა.

„ოლიმპიამ“ საწყისი მეოთხედი 21:15 მოიგო და აქედან 11 ქულა ბოისას აქტივში იყო. მეორე ათწუთეულში კაუნასელები გამოფხიზლდნენ და ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება მოახერხეს.

მთავარი გარდატეხა მესამე მეოთხედის ბოლო წუთზე მოხდა, როცა ყველა დაძაბულ ფინალზე ფიქრობდა. „ოლიმპია“ ქულას იგებდა, როცა ანტონიო როდრიგესმა სამიანი გაისროლა, ამას ბაზდარიჩის ზუსტი სროლა მოჰყვა — ერთი-ორი სწრაფი გარღვევაც და ლიუბლიანელებმა 9:1 მოიგეს მესამე მეოთხედის დასკვნითი წუთი — 65:54 მათ სასარგებლოდ.

ბოლო ათწუთეულში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. „ოლიმპიამ“ წარმატებით შეინარჩუნა მოპოვებული უპირატესობა, რაც ვლადიმერ ბოისას დამსახურებაცაა. ვოვამ სირენამდე ორნახევარი წუთით ადრე მორიგი სამიანი მიითვალა და ლიუბლიანელები მიუწვდომელნი გახადა — 79:66.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ამ მატჩში „ქართული“ გაგებით ცუდი ის მოხდა, რომ მანუჩარ მარკოიშვილს არ უთამაშია.

ირაკლი პერტაია

A ჯგუფი

რეალი 82:66 პარტიზანი

რეალი: ერეროსი (13), ბენეტი (16), ერვილი (11)
პარტიზანი: ავდალოვიჩი (13), სტეპი (16), ბოზოვიჩი (12)

პროკომი 77:71 ოლიმპიაკოსი

პროკომი: იაგოდნიკი (18), ნემეტი (16), მილერი (13)
ოლიმპიაკოსი: გორენცი (21), პერი (16), გულიაში (16)

ციბონა 82:72 ეფესი

ციბონა: ფიტჩი (22), პოპოვიჩი (16)
ეფესი: ნიკოლიჩი (25), სოლომონი (14), კუქო (13)

კლიმამიო 84:78 ესტუდიანტესი

კლიმამიო: ბაზილე (17), დუგლასი (16), ვუიანიჩი (13), სმოდიში (12)
ესტუდიანტესი: გარსესი (22), იასენი (15), მისო (11)

კლიმამიო	10	8	2	+76	18
ეფესი	10	8	2	+67	18
ციბონა	10	6	4	+44	16
რეალი	10	6	4	+51	16
პროკომი	10	5	5	-35	15
ესტუდიანტესი	10	3	7	-21	13
პარტიზანი	10	2	8	-51	12
ოლიმპიაკოსი	10	2	8	-129	12

B ჯგუფი

ოლიმპია 86:73 ჟალგირისი

ოლიმპია: ბაზდარიჩი (29), *ბოისა* (36 წუთი, 22 ქულა, 8 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 1 დაფარება)
მარკოიშვილი *განაცხადში იყო*
ჟალგირისი: ბერდი (19), ლავრინოვიჩი (18), ტიმინსკასი (14)

აეკ 75:71 სიენა

აეკ: ჰაციისი (17), ლოლისი (16)
სიენა: ტორნტონი (13), ვანტერპული (16)

ბარსელონა 77:70 სკავოლინი

ბარსელონა: ფუჩკა (18), ბოდიროგა (15), ნავარო (13), დევისი (12)
სკავოლინი: ჰენი (18), სმიტი (18), არჩიბალდი (18)

მაკაბი 89:69 ვილერბანი

მაკაბი: ვუიჩიჩი (17), პარკერი (17), ბასტონი (13)
ვილერბანი: ტორნი (19), მილერი (16)

მაკაბი	10	8	2	+125	18
ბარსელონა	10	6	4	+31	16
სიენა	10	5	5	+58	15
აეკ	10	5	5	-9	15
ჟალგირისი	10	5	5	-16	15
სკავოლინი	10	5	5	-58	15
ოლიმპია	10	4	6	-17	14
ვილერბანი	10	2	8	-114	12

C ჯგუფი

პო ორტეზი 81:86 სკაილაინერზი

პო ორტეზი: ფიორე (14), ჩატმანი (13), ლუქსი (12), დროზდოვი (11)
სკაილაინერზი: კრუელი (21), როლერი (21), უილამსი (20), სლივანჩანინი (14)

ტაუ 81:85 ცსკა

ტაუ: მასიაუსკასი (17), სკოლა (15), დვიდი (15), კორლი (13)
ცსკა: ბრაუნი (16), ჰოლდენი (16), მუურსეპი (16)

ულძერი 66:62 უნიკახა

ულძერი: ერდოგანი (18), თუნჩერი (13), შტომბერგასი (11)
უნიკახა: კბეზასი (17), გარბახოსა (14)

პანათინაიკოსი 80:71 ბენეტონი

პანათინაიკოსი: ბატისტი (16), ჰაძივრეტასი (15), სტეფანოვიჩი (11)
ბენეტონი: სერანა (15), მორლენდი (14), გარნეტი (11), მარკონატო (10)

ცსკა	10	10	0	+73	20
ულძერი	10	6	4	+57	16
პანათინაიკოსი	10	6	4	+36	16
ბენეტონი	10	5	5	+31	15
ტაუ	10	4	6	+5	14
უნიკახა	10	3	7	-27	13
პო ორტეზი	10	3	7	-83	13
სკაილაინერზი	10	3	7	-93	13

ჰიუიტს ხვატშიც დაბერილი აქვს

MEDIBANK INTERNATIONAL
სიდნეი. მაგარსაფარი
საპრიზო 419 ათასი $

ნახევარფინალი

ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:7 (4:7), 6:3, 6:2; ივო მინარი (ჩეხეთი) — რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) 6:1, 6:2

ბოლო ავსტრალიელი კაცი, ვინაც ავსტრალიის ღია პირველობაზე იმარჯვა, მარკ ედმონდსონი იყო. ამის გაკეთება მან 1976 წელს მოახერხა. მას შემდეგ კი ოზი ხვადები ნიადაგ პირში ჩოგანგამოვლებულები რჩებიან. ერთადერთი, ვისაც ვოლაბთაგან ამ 28-წლოვანი ნავსის გატეხვა მკლავეწიფება, ამქრის პირველოსანყოფილი ლეიტონ ჰიუიტია, ვისაც ღიაპირველობისწინა სიდნეობაზე აქამდე სამგზის უმარჯვია და დღეს ვინძლო მეოთხედაც იხეიროს.

ბოლო ორი თვის განმავლობაში შესამჩნევად ბიცეპსებდაბერილმა ლეიტონმა გუშინ მძიმე ბრძოლა გადაიტანა ახმახ ბელარუს მაქს მირნისთან. ეს მათი მეოთხე დაპირისპირება გახლდათ და ეგებ თქვენც გახსოვდეთ, წინა სამიდან ზორბად მოყუმბარე სლავს ტანმორჩილი ოზი ორჯერ დაეჩაგრა. ამასვე უპირებდა ის ამ ჯერზეც, თუმცა დათმობილი სეტის შემდეგ ჰიუიტი უეცრად აიჯაგრა და მეტოქეს ისე ბასრად მიეძალა, რომ ფიორა შანსი აღარ დაუტოვებია. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ზედასაკორტო ტემპერატურა ამ მატჩის მსვლელობისას 50 გრადუსს აღწევდა და გადამწყვეტი ის გამოდგა, რომ ბელარუსთან შედარებით მასპინძელთა ჯილა უფრო ადაპტირებულიც ჩანდა და უფრო ძალამარაგიანიც.

ფინალში კი მას 20 წლისა და რეიტინგსიის 158-ეადგილოსან ჩეხ ივო მინართან უნდა ეპაექრა, ვინაც აქნობამდე ერთ ქეციან ფინალშიც ვერ შეშტრიალებულიყო.

REUTERS კუიონგიდან

როჯერ ფედერერი საკუთარ კომპლექსებსაც ამარცხებს

REUTERS სიდნეიდან

ლეიტონ ჰიუიტი თავს შინ გრძნობს

MOORILLA INTERNATIONAL
ჰობარტი. მაგარსაფარი
საპრიზო 110 ათასი $

ფინალი

წენ ძი (ჩინეთი) — ხისელა დულკო (არგენტინა) 6:2, 6:0

ამ უსახელო ავსტრალიურ ტურნირზე თქვენი ყურადღება ეგებ არც შეგვეჩერებინა, რომ არა ერთი გარემოება — ჩინელი წენ ძი მეორე მისქვეყნელი მდედრი შეიქნა, რაგინდარა სადაბლტიეიო ტიტული რომ მოირეწა. შეგახსენებთ, რომ პირველი ჩინელგოგო, ვინაც ეს წენ ძიმდე გააკეთა, ნა ლი გახლდათ. მან შარშან მშობლიური გუანჯოუს ფინალში სლოვაკ მარტინ სუხას აჯობა.

კუიონგის რვაკაცა ტურნირი

ნახევარფინალი

როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) 6:4, 6:2

ამქრის პირველოსანმა ზედიზედ 23-ე გამარჯვება მიითვალა და ამით კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ახლა დასტურ მძლეთამძლე ფორმაშია. ტიმ ჰენმანი მის „უხერხულ" მეტოქეთა რიცხვს ეკუთვნის და მათი აქამომდელი ცხრა მატჩიდან ექვსში უმარჯვია. თუმცა გუშინ შვეიცარიელი მასზე ერთი ჩოგნით მაღლა იდგა და სრულიად უპრობლემოდ მოუგო. ნამატჩევს ფედერერი თავადაც კმაყოფილობდა და თამაშიდან თამაშამდე ვუმატებო, ამბობდა. უკმაყოფილო არც ჰენმანი დარჩენილა — წაგების მიუხედავად ის მაინც იხტიბარს არ იტეხდა და ახლა ყველაზე კარგ ფორმაში ვარ, რაშიც კი ოდესმე ვყოფილვარო, დასძენდა. ფინალში კი ფედერერი დღეს დილით თავის უმთავრეს მეტოქეს, რეიტინგსიის მეორეადგილოსან ენდი როდიკს უნდა რკენოდა.

ლევან კელაურაძე

ზაუბერი

ზაუბერ პეტრონასი დაარსდა 1970 წელს
ფორმულა 1-ში ასპარეზობს 1993 წლიდან
197 რბოლა; 175 ქულა
კონსტრუქტორთა თასზე საუკეთესო შედეგი
მეოთხე ადგილი (2001)
2004 წელს — მეექვსე ადგილი (34 ქულა)
პრეზიდენტი პეტერ ზაუბერი
ტექნიკური დირექტორი ვილი რამპფი
ბოლიდი „ზაუბერ C24"
სიგრძე 4580 მმ, სიგანე 1800 მმ, სიმაღლე 960 მმ
ძრავა „პეტრონას 05-A" (V10)
საბურავები „მიშლენი"



შაკ ვილნევი



ფელიპე მასა

კანადა

დაიბადა 1971 წლის 9 აპრილს
სენ-ჟან-სურ-რიშელიეში
ცხოვრობს მონტე კარლოში
უცოლო
სიმაღლე 168 სმ; წონა 67კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში:
ავსტრალიის დიდი პრიზი (1996)
134 რბოლა; 11 მოგება; 13 პოული;
9 უსწრაფესი წრე; 219 ქულა
მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონი
2003 წელს — XVI ადგილი (6 ქულა)
გუნდები: „უილიამსი" (1996-98),
B.A.R. (1999-03), „რენო" (2004)

ბრაზილია

დაიბადა 1981 წლის 25 აპრილს
სან პაულუში
ცხოვრობს სან პაულუში
უცოლო
სიმაღლე 166 სმ; წონა 59კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში:
ავსტრალიის დიდი პრიზი (2002)
34 რბოლა; 16 ქულა
შარშანდელ ჩემპიონატში დაიკავა
XII ადგილი (12 ქულა)
გამოდიოდა „ზაუბერში" 2002, 2004
წლებში, 2003 წელს იყო
„ფერარის" ტესტ-პილოტი

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

პეტერ ზაუბერი თავისი ახალი მძღოლ-ბოლიდის პრეზენტაციას 11 ივნვარს მალაიზიის დედაქალაქ კუალა ლუმპურში აპირებდა. იქ გუნდის მთავარ სპონსორ „პეტრონასის" ფორმულასთან თანამშრომლობის ათი წლისთავისადმი მიძღვნილი პომპეზური ღონისძიება იყო დაგეგმილი, მაგრამ აზიაში ცუნამისგან დატრიალებული ტრაგედიის გამო შოუ არ შედგა.

„ზაუბერ C24"-ის წარდგენა მოკრძალებულად მოხდა ესპანეთში, ვალენსიის ავტოდრომზე, სადაც შვეიცარიული საჯინიბო სამდღიანი ტესტებისთვის ჩავიდა. მანქანა კონსტრუქციულად შარშანდელისგან საკმაოდ განსხვავდება, ყველაზე დიდი ცვლილება კი საბურავებს შეეხო. ჰერ პეტერმა იაპონურ „ბრიჯსტოუნს" უგანა და ფრანგულ „მიშლენის" ფეხსაცმელზე გადავიდა.

ვილნევი მეორედ მოსვლას აპირებს

ტექნიკურ დირექტორ ვილი რამპფის განცხადებით, წლევანდელი ევოლუციური მოდელის შექმნისას განსაკუთრებით აეროდინამიკაზე იმუშავეს ახალ, საკუთარ აეროგვირაბში, რადგან ახალი რეგლამენტით უნდა შემცირდეს ბოლიდის ასფალტთან მოჭიდების ძალა. მისივე თქმით, მანქანა წინამორბედზე უფრო კომპაქტური, ჰარმონიული და კოხტა გამოვიდა, დანარჩენს კი გამოცდისას ნახავთო.

გუნდს ძრავებით ამჯერადაც „ფერარი" მოამარაგებს, თუმც მომავალი წლიდან პეტერ ზაუბერი თავად აპირებს მოტორების დამზადებას.

ახლა მძღოლებზე. ბრაზილიელმა ფელიპე მასამ ადგილი შეინარჩუნა, ხოლო „რენოში" გადასულ ჯანკარლო ფიზიკელას ნაცვლად ერთწლიანი უქმობის შემდეგ „სამეჯო რბოლებში" დაბრუნებული ექსჩემპიონი ჟაკ ვილნევი იქროლებს. კონტრაქტი ორსეზონიანია და 33 წლის კანადელი პენსიაზე გასვლამდე მეორე ტიტულის მოპოვებაზე ფიქრობს: „ეს ერთხელ უკვე შევძელი და ახლაც ვეცდები იგივეს გამეორებას, თუმც ძალიან კი გამიძნელდება. როდესაც რაიმე იოლად გამოგდის, ეს უინტერესოა. თავს ბავშვივით ვგრძნობ, თითქოს ისევ 1996 წელი იყოს, როცა ფორმულაში მოვედი."

გია ახალაძე



სამხრეთის ამომავალი ვარსკვლავი

Grazy George კრის ევერტის ფავორიტია

გიორგი ხრიკაძე და კრის ევერტი

ბოლო წლებში ქართული ჩოგბურთის თემა ირაკლი ლაბაძით იწყება და მთავრდება, თუმც ყველაფერი იქით მიდის, რომ სულ მალე ახალი ლაბაძე გვეყოლება. გიორგი ხრიკაძის სახელი ბევრს იქნებ არაფერს ეუბნება, მაგრამ ვინც ქართულ კორტებს ხშირად სტუმარია, მისი ლაზათიანი ჩოგნისქნევა თვალში მოხვდებოდა. ხრიკაძეს სულ ახლახან შეუსრულდა 16 წელი და ბუზის სპილოდ გადაქცევა რომ არ დაგვწამოთ, გეტყვით, რომ მას ამერიკელებიც კი მიიჩნევენ ამომავალ ვარსკვლავად.

გიორგი უკვე ოთხი თვეა, ამერიკაშია, ფლორიდაში, მაიამის მიმდებარე ქალაქ ბოკარატონში ემზადება, სადაც დიდებული საჩოგბურთო აკადემიაა და მისი მფლობელ-პრეზიდენტი ლეგენდარული ამერიკელი ქალმეჩოგნე კრის ევერტი გახლავთ, თუმც სანამ ხრიკაძის ოკეანგაღმურ ამბებზე გადავიდოდეთ, მის ქართულ ჩოგნაობაზე ვთქვათ.

გიორგი 7 წლისა შევიდა ჩოგბურთზე და მას შემდეგ კორტისმიღმა კარიერაზე არ უფიქრია, დროდადრო სხვადასხვა ასაკობრივ ევროპულ ტურნირებზეც აღწევდა წარმატებებს. უფრო კონკრეტულად: 2003 წლის ივნისში „ჟუკოვსკის თასის“ ნახევარფინალში გავიდა, იმავ წელს „სტამბოლის თასზე“ ასევე ნახევარფინალს უწია, შარშან ATF-ის ალჟირის საერთაშორისო ტურნირზეც (18 წლამდე) ღირსეულად იჩოგნავა, ხოლო ყველაზე ხმაურიანად შარშანვე სერბეთში ითამაშა აღმოსავლეთ ევროპის თასზე, სადაც ამ რეგიონის ნაკრების წევრად აიყვანეს და ერთჯერადი სტიპენდია, 1 500 დოლარი მისცეს. ამას მოჰყვა იტალიური, უკრაინული, ჰოლანდიური თუ ბელარუსული ყოჩაღობა. ახლა გიორგი საქართველოს ნაკრების წევრია და ჩვენი ჩოგბურთის ფედერაციისგან 200-ლარიან ხელფასსაც ალალად იმსახურებს. 16 წლის ნიჭიერი ბიჭი წლეულს, ალბათ, ნაკრებში დევისის თასის ევრო-აფრიკულ ზონაშიც იჩოგნავებს. აქვე ვთქვათ, რომ ჩვენებური ევროპის 16-წლამდე ჩოგბურთელთა რეიტინგში მე-12 საფეხურზეა.

ახლა ისევ ამერიკულ ვოიაჟზე: გიორგი ხრიკაძე „იანკების“ ქვეყანაში გასული წლის ოქტომბერში გაემგზავრა და ზემოთ ნახსენები ბოკარატონის აკადემიის 18 წლამდელთა ტურნირზე ნახევარფინალამდე მივიდა, შემდეგ კი მაიამიში უფროსების ტურნირზე მეოთხედფინალი წააგო მომავალ ჩემპიონთან. მერე იყო ტურნირების სერია, რომელთაგან გამორჩეული გახლდათ ფლორიდული „ორანჯ ბოლი“, სადაც ქართველმა მეჩოგნემ მერვედფინალს უწია, იქ კი ფრანგ მეტოქესთან შეხვედრაში მსაჯს ბოლო, მესამე სეტის გადამწყვეტ გეიმში შეცდომა რომ არ დაეშვა, იქნებ გაცილებით შორსაც წასულიყო...

საზოგადოდ კი მართლა შორს წავიდა: ხრიკაძე ძალიან მოეწონათ ამერიკელ მწვრთნელებსა და მენეჯერებს. ქართულმა ტემპერამენტმა და შემტევმა ჩოგნაობამ შედეგი მოიტანა — კრის ევერტმა და ბოკარატონის აკადემიაში მომუშავე მწვრთნელმა, ბევრი ცნობილი ჩოგბურთელის აღმზრდელმა ენდი ბრენდიმ გიორგის 6 თვით დარჩენა შესთავაზეს.

ხრიკაძე დიდი სიპათიით სარგებლობს კრის ევერტის აკადემიაში, დილის ვარჯიშების შემდეგ ყოველ საღამოს მართავს სპარინგ-მატჩებს, რომელსაც მწვრთნელები და სპონსორები უყურადღებოდ არ ტოვებენ. სხვათა შორის, ჭაბუკი ქართველი ერთ-ერთმა არგენტინელმა მწვრთნელმა ლათინური ამერიკაში ტურნირებზეც მიიწვია, თუმც ხრიკაძეს ეს შანსი მულტივიზის უქონლობამ დაუკარგა.

ერთ-ერთი მატჩის დროს ენდი ბრენდისთვის ხრიკაძეზე უკითხავთ, ვინ არის ეს ცეცხლოვანი ბიჭიო და ბრენდისაც უპასუხია — „ქრეიზი ჯორჯი“ გახლავთ, მოფერებით ასე ვეძახი და დაიმახსოვრეთ, სამხრეთის ამომავალი ვარსკვლავიაო. ბრენდი გაოცებულია გიორგის ფანატიზმით, დილიდან დაღამებამდე სულ ვარჯიშობს, დიდი შრომისმოყვარე და გულმოდგინე ბიჭიაო. არადა, ქართულ ჭაბუკებს ხომ ხშირად უკიჟინებენ სიზარმაცეს. ხრიკაძის საყვარელი ჩოგბურთელი ანდრე აგასია და თამაშის მანერითაც მას ჩამოჰგავს.

რა თქმა უნდა, ამერიკაში ცხოვრებას დიდძალი ფინანსები სჭირდება. მართალია, გიორგის ვარჯიშების გადასახადი მინიმუმამდე შეუმცირეს, მაგრამ ინვენტარი და სპორტული ფორმა? ხრიკაძე ფინანსური დახმარებისთვის პერსონალურად მადლობას უხდის „ჯეოსელის“ გენერალურ დირექტორ ოსმან თურანს, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ოკეანისგაღმა მის გამგზავრებაში.

გიორგი, ალბათ, აპრილის ბოლოს ჩამოვა საქართველოში. მერე კი ევროპული ტურნირების სერიები და სადევისთასო მატჩებიც მოაკაკუნებს. მანამდე კი ისევ ბოკარატონის აკადემიაში იხვეწება და ამერიკელების კომპლიმენტებს იხვეჭს. ქართველი ტალანტი ხანდახან ფეხბურთსაც თამაშობს აკადემიის წევრებთან და კრის ევერტის შვილებთანაც მეგობრობს. სხვათა შორის, ხრიკაძემ საშობაოდ ევერტის საჩუქარი დაიმსახურა.

ილია ნანობაშვილი



სიკვდილის რალი

საჰარამ ბავშვის სიცოცხლე წაიღო

ცუდ ტრადიციად გვექცა — ყოველ ნომერში ბარსელონა-დაკარის რალის მსვლელობისას დაღუპულ ხალხზე გვიწევს წერა.

მოტომრბოლელებს, ესპანელ პერესსა და იტალიელ მეონის ბელგიელი რენე დელიაბის დამხმარე პერსონალის ორი წევრის სიკვდილი მოჰყვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაზე დიდი ტრაგედია თურმე წინ ყოფილა.

კაცი სიკვდილისთვის ნებისმიერ ასაკში ცოდოა, მაგრამ როდესაც 5 წლის ბავშვი იღუპება, ეს ორმაგად ძნელად აღსაქმელია.

გუშინ სენეგალელი გოგონა მშობლებს დაუსხლტა და ტრასაზე გავარდა, სადაც სატვირთო ავტომანქანის ბორბლებქვეშ მოჰყვა. მძღოლი უკვე სამშობლოში ბრუნდებოდა, ვინაიდან რბოლას გამოთიშულიყო, მაგრამ ამას ახლა რა მნიშვნელობა აქვს. ეს საშინელი ფაქტი ფაქტად რჩება — ბარსელონა-დაკარმა უკვე მეხუთე მსხვერპლი მიითვალა.

წლეულსაა მეხუთე, თორემ აქამდე 27 წლის განმავლობაში აფრიკის საბედისწერო „გზებმა“ 48 ადამიანი, მათ შორის 22 სპორტსმენი გაისტუმრა საიქიოს. იმის მაგივრად, რომ ორგანიზატორები ამ ფაქტს დაეფიქრებინა და რბოლის პირობების გაუმჯობესებაზე ეზრუნათ, პირიქით, ყოველწლიურად ართულებენ მარშრუტს და შედეგიც სახეზეა.

იქნებ ახლა მაინც ინებონ და დაკისრებულ მოვალეობები უფრო გულმოდგინედ და ყურადღებით შეასრულონ. ეს ისე, მომავლისთვის, თორემ დაღუპული ბავშვის მშობლებს რაღა ედაკარებათ.

ლადო ჟულუკიძე

კოკაიმ მთა გადადგა

საწყის ხუთ ტურში მოპოვებულ ერთადერთ გამარჯვებას ქართველმა სუმიტორიმ ლევან ცაგურიამ გუშინ მეორე წაამატა. კოკაიმ ისეთი მოწინააღმდეგე დაჯაბნა, წინა მეტოქეებს ერთი თავით რომ სჯობს. 28 წლის ოძეკობაზე მეოცნებე მთაკაც ვაკანოსატოს კოკაიმ საკმაოდ იოლად აჯობა და საბოლოო გამარჯვების თეორიული შანსიც წაართვა.

დღეს ჩვენებური აქამდე ორგზის ძლეულ 140-კილოგრამიან ესქომუსუბის კაკიძოეს დაეჭიდება და უარყოფითი ბალანსის მინიმუმამდე შემცირებას ეცდება.

ცხრილის თავში კი კვლავ „ცისფერი დრაკონია“. 21-ე საუკუნის პირველ იოკოძუნა ასასიორუს იმპერატორის თასი აქამდე ცხრაჯერ აუტაცია და საიუბილეო მეათისკენაც ჯიქურ მიიწევს.

24 წლის მონღოლის შემჩერებელი, რომ ვერც კაკიძოე იქნებოდა, სპეციალისტებმა ადრევე იწინასწარმეტყველეს. დიად ჩემპიონს ორიოდ წამი ეყო მეტოქის ჰაერში ასაწევად და ხალიჩისმიღმა მოსასროლად.

ასასიორუს კვალში თითო მარცხით 19 წლის კომუსუბი ხაკუხო, 28 წლის სეკივაკე ტოჩიაძუმა და 30 წლის ექსსეკივაკე კოტოჰუტენხო უდგანან.

ომარ მაღლაკელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა





პორტლენდის გოგოები

პორტლენდში გრძელდება ამერიკის ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში. ქალთა მოკლე პროგრამა დიახაც რომ ამოდ საცქერი იყო. თუნდაც ეს ორი ძველი და მარადი ვარსკვლავი — საშა კოენი და მიშელ კვანი რად ღირან. ამ ფოტოებზე რომელი რომელია, თავადაც მიხვდებით.



REUTERS ჩიბადან

ახალი დაიჰაცუ

ტოკიოს ავტოსალონი „ჩიბა“ განთქმულია. ახლა იქ დიდი გამოფენაა და ორადგილიანი „დაიჰაცუ“ ხალხს დიდად მოსწონებია. თბილისში როდის გამოჩნდება? თან ტრაილერის ჩაბმაც უხერხდება.

მადონა დი კომპილიო

მეფორმულეთა გუნდი „ფერარი“ ეღლავაც ბარცელონა დი კომპილიოში ატარებს ზამთრის შვებულებას. მიხაელ შუმახერის ცოლი კორინა დაუდს—ბრაზილიასაგან ემზადება, თანაც საყვარელი ძალლი ახლავს, კარგია ახლა დოლომიტებში. ყველგან კარგია, სადაც ჩვენ არ ვართ. ბაკურიანშიც კარგიაო, ამბობენ. გუდაურშიცო, ოღონდ, ტრავმებს უმატია. შუმახერები კი მშვიდად და ოსტატურად სრიალებენ.

ავარია

ევროპის „შორტ-ტრეკი“ ციგურაობაში, ტურინის ყინული და პირველივე გასრიალებაზე შეჯახება. ფრანგი ჟან-შარლ მატეი (36) მოსახვევში ვერ შედის და უნგრელი გაბორ გალანობს გზას ულობავს, ამასობაში კი იტალიელი ნიკოლა ფრანჩესკინა (79) წინ მიჰქრის და საბოლოოდ მეორე ადგილს იკავებს 1500 მეტრზე შეჯიბრში.



სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ჭართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ილია ნანობაშვილი, ირაკლი პერტია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge